სტუდენტთა ჟურნალი სოციალურ მეცნიერებებში

№1, აპრილი, 2017

Student Journal of Social Sciences

ერაყის ქურთისტანი - დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის პერსპექტივები

კონსტანტინე კევლიშვილი

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
E-mail: konstantinekevlishvili@gmail.com

რეზიუმე

ქურთები მსოფლიოში უდიდესი ერია სახელმწიფოს გარეშე. სხვადასხვა მონაცემით, ერაყის, თურქეთის, სირიისა და ირანის ტერიტორიაზე დასახლებული ქურთების რიცხვი ჯამში დაახლოებით 28 მილიონს აღწევს, ხოლო უშუალოდ ერაყში - 6 მილიონს. ქურთებს გააჩნიათ საკუთარი ენა - ქურთული, ხოლო მოსახლეობის 98% სუნიტური ისლამის მიმდევარია.

აღსანიშნავია, რომ ქურთისტანის დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის საკითხი პირველად მსოფლიოს პოლიტიკურ დღის წესრიგში 1920 წელს დადგა და ჩაიწერა კიდეც ოსმალთა იმპერიასა და ანტანტას შორის გაფორმებულ სევრის ხელშეკრულებაში, თუმცა, მოგვიანებით, ეს შეთანხმება ჩანაცვლდა 1923 წლის ლოზანის ხელშეკრულებით, რის შედეგადაც ქურთისტანის რეგიონის ტერიტორია განაწილდა ზემოხსენებულ ოთხ სახელმწიფოს შორის.

ათწლეულების განმავლობაში ერაყში ქურთული ნაციონალისტური განწყობები მნიშვნელოვნად გაძლიერდა, რის შემდეგაც, მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან, ავტონომიისა და დამოუკიდებლობის მოპოვების მოთხოვნით განხორციელებულ აჯანყებებს რეგულარული ხასიათი მიეცა.

დღესდღეობით ერაყის ქურთისტანს აქვს ნახევრად ავტონომიური რეგიონის სტატუსი. მიმდინარე წლის 16-17 ოქტომბრიდან საერთაშორისო კოალიციის, ერაყის არმიისა და ქურთული სამხედრო ქვედანაყოფების, ე.წ. „პეშმერგას“ საერთო ძალისხმევით დაიწყო ბრძოლა ერაყის სიდიდით მეორე ქალაქის, მოსულის „ისლამური სახელმწიფოს“ კონტროლისგან გასათავისუფლებლად. ქალაქი მოსული ქურთისტანის დედაქალაქ ერბილისგან 80 კილომეტრში მდებარეობს, ხოლო ხსენებული ოპერაცია ერაყის ქურთისტანისთვის საკვანძო მნიშვნელობის მქონეა - ბოლო პერიოდში საკმაოდ აქტუალური გახდა ამ ავტონომიური რეგიონის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების საკითხი, თუმცა ამ საკითხზე ერაყის მთავრობასთან უშუალო მოლაპარაკებების დაწყება, სავარაუდოდ, მხოლოდ ისლამური სახელმწიფოს ქვეყნის საზღვრებიდან განდევნის შემდეგ იქნება შესაძლებელი.

საკვანძო სიტყვები: ახლო აღმოსავლეთი, ერაყის ქურთისტანი, დამოუკიდებლობის პერსპექტივა, მოსულის ოპერაცია, ბრძოლა ისლამურ სახელმწიფოსთან.

შესავალი

წინამდებარე ნაშრომის მთავარი მიზანია უახლოეს მომავალში ერაყის ქურთისტანის დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის პერსპექტივების განხილვა. იქიდან გამომდინარე, რომ ხსენებული პერსპექტივების განხილვა უაღრესად კომპლექსური საკითხია, ნაშრომისთვის მეტი სიცხადის შეძენისა და მხოლოდ

ჰიპოთეტურ მსჯელობაზე დაყრდნობის თავიდან აცილების მიზნით, უმეტესწილად გაანალიზებულია ერაყის ქურთისტანის ამჟამინდელი პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობა, რეგიონული მთავრობის ოფიციალურ ბაღდადთან და მეზობელ ქვეყნებთან ურთიერთობების ნიუანსები, ერაყის ქურთისტანის დამოუკიდებლობის მოპოვების როგორც ხელისშემშლელი, ასევე ხელშემწყობი ფაქტორები და, საბოლოოდ, მოსულის ოპერაციის როლი და პოლიტიკური მნიშვნელობა ერაყელი ქურთებისათვის.

კვლევის მიზნიდან გამომდინარე, საკვლევი კითხვა შემდეგნაირად ფორმულირდება: რა გავლენა შეიძლება იქონიოს მოსულის ოპერაციის წარმატებით დასრულებამ ერაყის ქურთისტანის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩამოყალიბების პროცესზე? კვლევის დამოუკიდებელი ცვლადი სწორედ მოსულის ოპერაციაა, რომლის მიმდინარეობამაც, წესით, პირდაპირი გავლენა უნდა იქონიოს დამოკიდებულ ცვლადზე - ერაყის ქურთისტანის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვებაზე. შესაბამისად, კვლევის ჰიპოთეზა შემდეგნაირია: მოსულის ოპერაცია არ წარმოადგენს ერაყის ქურთისტანისთვის დამოუკიდებლობის მოპოვების პირდაპირ წინაპირობას, თუმცა, ამ ოპერაციის წარმატებით დასრულება პირდაპირ კავშირშია ერაყის ქურთისტანის პოლიტიკურ-ეკონომიკური სიტუაციის სტაბილიზაციასა და დამოუკიდებლობის მოპოვებისთვის ნიადაგის შემზადებასთან.

კვლევის მიზნების მისაღწევად გამოყენებულ იქნა პირველადი, ისე მეორეული და მესამეული წყაროების თვისებრივი ანალიზი. საკვლევ საკითხთან დაკავშირებული აკადემიური ლიტერატურის სიმცირის გამო, წინამდებარე ნაშრომში მოცემული მსჯელობა დიდწილად ეყრდნობა გავლენიანი ანალიტიკური გამოცემების, ექსპერტების, მკვლევრებისა და რეგიონის მიმომხილველი ჟურნალისტების სტატიებსა და ფუნდამენტურ ანალიტიკურ შრომებს.

საკითხის აქტუალობა

ერაყის ქურთისტანის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩამოყალიბების აქტუალობას განაპირობებს რამდენიმე ფაქტორი, რომელთაგანაც გამოსარჩევია:

- სამართლებრივი საფუძველი - 2005 წელს ერაყის ქურთისტანში ჩატარდა რეფერენდუმი, რომლის შედეგებითაც მოსახლეობის 98%-მა მხარი დაუჭირა ქვეყნის დამოუკიდებლობას,[1] ამასთან,

[1] Saied Qadir Fade Ibrahim, "Iraqi Kurds And State-Building," Washington Review Of Turkish & Eurasian Affairs, 2015 წლის მარტი, გვ. 7.

არაერთხელ გაჟღერდა კიდევ ერთი რეფერენდუმის ჩატარების ინიციატივა მოსულის ოპერაციის დასრულების შემდეგ;[23]

- ეკონომიკური საფუძველი - ერაყის ქურთისტანი ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი და უკანასკნელ წლებში შედარებით სწრაფად განვითარებდი რეგიონია, რომელსაც, სახელმწიფოდ ჩამოყალიბების შემთხვევაში, შესაძლოა, ჰქონდეს დამოუკიდებლად არსებობის ეკონომიკურ-ფინანსური შესაძლებლობა;
- სამხედრო საფუძველი - ერაყის სამთავრობო ჯარებს ეკრძალებათ ქურთისტანის რეგიონში შესვლა, ხოლო რეგიონის უსაფრთხოებას თავად ქურთული სამხედრო ქვედანაყოფები, „პეშმერგა“ იცავს, რომელიც, როგორც უკვე აღინიშნა, აქტიურად იბრძვის „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგაც და, მოძველებული შეიარაღების მიუხედავად, მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ტერორისტულ ორგანიზაციასთან ბრძოლაში. შესაბამისად, ერაყის ქურთისტანს, ფაქტობრივად, უკვე ჰყავს საკუთარი არმიაც, რომელსაც ექნება შესაძლებლობა, გარე აგრესიისგან დაიცვას ახალწარმოქმნილი სახელმწიფოს სუვერენიტეტი;
- პოლიტიკური საფუძველი - ოფიციალურად, ერაყის ქურთისტანი უკვე 46 წელია ავტონომიურია,[4] თუმცა 1991 წლამდე ერაყის სახელმწიფო ჯარები არ აძლევდნენ რეგიონს თავისუფალი განვითარების საშუალებას,[5] ხოლო შემდგომში ამ პროცესს აფერხებდა სადამ ჰუსეინის რეჟიმის მიერ რეგიონისადმი დაწესებული ეკონომიკური სანქციები.[6] 2003 წელს ქურთებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ჰუსეინის რეჟიმის დამხობაში, რის შემდეგაც, ერაყის 2005 წლის კონსტიტუციით, მათ ფედერალური რეგიონის სტატუსი მიიღეს.[7] დღეს ქურთული ერაყის ერთ-ერთი სახელმწიფო ენაა,[8] ერაყის ქურთისტანს კი ჰყავს საკუთარი მთავრობა, პარლამენტი, დიპლომატიური სტრუქტურები და ჯარი, ამასთან კი, ექსპერტთა შეფასებით, ბოლო წლების განმავლობაში ამ რეგიონში სუფევს მეტი სტაბილურობა და პოლიტიკური პლურალიზმი, ვიდრე ქვეყნის დანარჩენ ნაწილში, მიუხედავად იმისა, რომ რეგიონული მთავრობის მიერ საშინაო პოლიტიკის წარმოების პრინციპები გარკვეულწილად

---

[2] Ibrahim Al-Marashi, “The Kurdish Referendum and Barzani’s political survival,” Al Jazeera Online; http://www.aljazeera.com/indepth/opinion/2016/02/kurdish-referendum-barzani-political-survival-iraq-160204111835869.html; ინტერნეტი; ბოლო ნახვა: 13 დეკემბერი, 2016.

[3] Baxtiyar Goran, “Barzani releases statement on independence referendum,” Kurdistan 24 Online; http://www.kurdistan24.net/en/news/5638c9bb-d4e2-4fce-80ad-62441576fa33/Barzani-releases-statement-on-independence-referendum; ინტერნეტი; ბოლო ნახვა: 13 დეკემბერი, 2016.

[4] Gareth R. V. Stansfield, “Iraqi Kurdistan: Political development and emergent democracy”, (London: RoutledgeCurzon, 2003), გვ. 75-76.

[5] იქვე, გვ. 89-90.

[6] Kerim Yildiz, „The Kurds In Iraq: The Past, Present and Future“, (London: Pluto Press, 2007), გვ. 75.

[7] The Republic of Iraq, Iraqi Constitution, (Baghdad, 2015, Article 117), Iraqi Nationality Government Online; ინტერნეტი; http://www.iraqinationality.gov.iq/attach/iraqi_constitution.pdf; ბოლო ნახვა: 13 დეკემბერი, 2016.

[8] იქვე, Article 4.

არადემოკრატიულია. ასევე მნიშვნელოვანი ფაქტორია ურთიერთობების დათბობა თურქეთთანაც, რომლის ქმედებებიც წლების განმავლობაში რეგიონის დესტაბილიზაციის უმთავრეს საფრთხეს წარმოადგენდა. საბოლოო ჯამში, ყოველივე ზემოხსენებულთან ერთად, ერაყის ქურთისტანის სახელმწიფოს ჩამოყალიბებამ, შესაძლოა, საბოლოოდ მოაგვაროს წლების განმავლობაში რეგიონსა და ცენტრალურ მთავრობას შორის არსებულ ტერიტორიული დავაც, რაც ხელს შეუწყობს უკანასკნელი ათწლეულების ერაყის არასტაბილური ვითარების აღმოფხვრასაც.

ლიტერატურის მიმოხილვა

ერაყის ქურთისტანის განვითარების ისტორიულ კონტექსტში განხილვისას ნაშრომში გამოყენებულია რეგიონის მკვლევართა მიერ სხვადასხვა დროს გამოცემული საკმაოდ მასშტაბური შრომები, რომელთა უდიდესი ნაწილი ემყარება არამარტო წლების განმავლობაში წარმოებულ კვლევებს, არამედ უშუალოდ რეგიონში მკვლევართა არაერთ ვიზიტსა და ერაყისა თუ ერაყის ქურთისტანის ოფიციალური სტრუქტურების წარმომადგენლებთან ინტერვიუებს. მიუხედავად იმისა, რომ ამ ნაშრომთაგან ზოგიერთი მიმდინარე საუკუნის დასაწყისშია გამოცემული, მათში თავმოყრილი ინფორმაცია კვლავაც რელევანტურია სამხრეთ ქურთისტანის ამჟამინდელი პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სოციალური ვითარების მიზეზების ძიებისას, რის გამოც ზემოხსენებული კვლევების გამოყენება მეტ ობიექტურობას სძენს წინამდებარე ნაშრომს.

ნაშრომში გამოყენებულია ინფორმაციები ისეთი მედიასაშუალებებიდან, როგორებიცაა CNN, BBC, Al Jazeera, The Economist, The Guardian და სხვ. გარდა ამისა, ხსენებულ ფუნდამენტურ შრომებს შორის გამოსარჩევია: გარეთ სტენსფილდის ნაშრომი ერაყის პოლიტიკური განვითარების ისტორიისა და პარტიების ჩამოყალიბების პროცესის შესახებ; დევიდ მაკდოუელის მიერ გადმოცემული „თანამედროვე ქურთების ისტორია“; ქერიმ ილდიზის ნაშრომი კონკრეტულად ერაყის ქურთისტანის წარსულის, აწმყოსა და მომავალი პერსპექტივების შესახებ; მაიკლ კელის წიგნი („ჰალაბიას მოჩვენებები“), რომელიც შეეხება სადამ ჰუსეინის მიერ ერაყელ ქურთთა რეპრესირებისა და აშშ-ის მიერ ერაყის განთავისუფლების შემდგომ პერიოდებს; სტეფანო ტორელის მასშტაბური კვლევა სხვადასხვა ქვეყანაში მცხოვრები ქურთების შესახებ, რომელიც მოიცავს როგორც პოლიტიკურ, ასევე ეკონომიკურ ასპექტებს; ჯონ რობერტსის უახლესი ნაშრომი ერაყის ქურთისტანის ენერგორესურსებით ვაჭრობის პერსპექტივების შესახებ და სხვ.

ერაყის ქურთისტანის პოლიტიკური განვითარების ისტორია

ქურთები უძველესი დროიდან მე-20 საუკუნემდე

ახალი წელთაღიცხვით მე-7 საუკუნემდე ქურთების, როგორც ერის და ქურთისტანის, როგორც გეოგრაფიული და ისტორიული რეგიონის შესახებ არსებული ცნობები საკმაოდ მწირია, თუმცა, როგორც ცნობილია, არაბთა მიერ რეგიონის დაპყრობამდე ცალკეული ქურთული ტომები და სახელმწიფოებრივი გაერთიანებები დამოუკიდებლად ვითარდებოდნენ. თავად ქურთული ენა ინდოევროპული ენების ოჯახს მიეკუთვნება და, დღესდღეობით, მის სხვადასხვა დიალექტზე ჯამში, დაახლოებით, 30 მილიონი ადამიანი საუბრობს, ხოლო მსოფლიოში გაფანტული ქურთი მოსახლეობის უდიდესი ნაწილი სუნიტური ისლამის მიმდევარია.[9]

აღსანიშნავია, რომ ა.წ. მე-7 საუკუნიდან დღემდე ქურთებს არასოდეს ჰქონიათ აბსოლუტურად დამოუკიდებლად განვითარების შესაძლებლობა. საუკუნეების განმავლობაში ქურთისტანის რეგიონის ტერიტორია რამდენიმე დიდი იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა - ომაიანთა არაბეთის დომინირება ჯერ მონღოლთა, ხოლო შემდეგ სპარსელთა ბატონობით ჩანაცვლდა, ხოლო პირველ მსოფლიო ომამდე აღნიშნული რეგიონი ოსმალთა იმპერიის ნაწილი იყო.[10]

ოსმალთა იმპერიის დაშლა - სევრისა და ლოზანის ხელშეკრულებები

მას შემდეგ, რაც პირველი მსოფლიო ომის შედეგად ოსმალთა იმპერია საბოლოოდ დაიშალა, მსოფლიო პოლიტიკური დღის წესრიგში პირველად დადგა დამოუკიდებელი ქურთისტანის სახელმწიფოს ჩამოყალიბების საკითხი. უზარმაზარი იმპერიის „უმტკივნეულოდ“ დაშლის გეგმა დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მიერ ჯერ კიდევ 1916 წელს შემუშავდა და შემდგომში „საიქს-პიკოს შეთანხმების“ სახელით გახდა ცნობილი.[11]

ხსენებული საიდუმლო შეთანხმების საფუძველზე 1920 წლის აგვისტოში ხელი მოეწერა სევრის ხელშეკრულებას, რომლის თანახმადაც, ოსმალთა იმპერიის აზიურ ტერიტორიებზე წარმოიქმნებოდა რამდენიმე ახალი, დამოუკიდებელი სახელმწიფო, რომლებიც ბრიტანული ან ფრანგული „მფარველობის ქვეშ“ განვითარდებოდნენ.[12] შეთანხმება ითვალისწინებდა ახალი თურქული სახელმწიფოს შემადგენლობაში მყოფი ქურთისტანის (რომლის საზღვრები მოსულის პროვინციასაც მოიცავდა) დამოუკიდებლობის საკითხის რეფერენდუმის გზით გადაწყვეტასაც, თუმცა ირანის, ბრიტანეთის მიერ

---

[9] Gareth R. V. Stansfield, “Iraqi Kurdistan: Political development and emergent democracy”, (London: RoutledgeCurzon, 2003), გვ. 37-40.
[10] David McDowell, “A Modern History of The Kurds” (London: I.B. Taurus, 2007), გვ. 21-38.
[11] David McDowell, “A Modern History of The Kurds” (London: I.B. Taurus, 2007), გვ. 115-117.
[12] Kerim Yildiz, „The Kurds In Iraq: The Past, Present and Future“, (London: Pluto Press, 2007), გვ. 75.

კონტროლირებადი ერაყისა და ფრანგთა მიერ მართული სირიის ქურთულ რეგიონებს ხსენებული პრეროგატივა არ ეძლეოდათ. ბრიტანელი და ფრანგი მაღალჩინოსნების პოზიციებიდან გამომდინარე, არსებობდა მოვლენების განვითარების ორი შესაძლო სცენარი: ქურთისტანის ბუფერული სახელმწიფოს შექმნა თურქეთსა და ერაყს შორის, ან ხსენებული ტერიტორიის ერაყისთვის მიერთება სუნიტი მეფის მიერ მართული, უმეტესწილად შიიტური აღმსარებლობის მქონე მოსახლეობის დაბალანსების მიზნით.[13]

1923 წელს პირველ მსოფლიო ომში გამარჯვებული მოკავშირეები ამჯერად ოსმალთა იმპერიის ნანგრევებიდან აღმოცენებული თურქეთის რესპუბლიკის წარმომადგენლებს შეხვდნენ. არსებითად ახალ სახელმწიფოსთან გაფორმდა ახალი ხელშეკრულებაც, რომელსაც ხელი შვეიცარიის ქალაქ ლოზანაში მოეწერა. ლოზანის ხელშეკრულებით[14] ხელახლა დადგინდა თურქეთის საზღვრები, თუმცა ქურთისტანის საკითხის გადაწყვეტა ერთა ლიგას მიენდო, რომელმაც 1925 წელს დამოუკიდებლობის რეალური პერსპექტივის მქონე ერთადერთი ქურთული რეგიონის დიდი ნაწილიც ერაყის შემადგენლობაში შეიყვანა. შედეგად, ისტორიული ქურთისტანის რეგიონის ტერიტორიები ოთხ სახელმწიფოს შორის გადანაწილდა (თურქეთი, ერაყი, სირია და ირანი), რომელთაგან თითოეულში ქურთთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობების მიერ მოწყობილ აჯანყებებს გასული საუკუნის განმავლობაში, ფაქტობრივად, რეგულარული ხასიათი მიეცა.

ნაციონალისტური განწყობებისა და პოლიტიკური პარტიების ფორმირების დასაწყისი ერაყის ქურთისტანში

რასაკვირველია, ლოზანის ხელშეკრულების შედეგად დამყარებულ ახალ წესრიგს ქურთები სიხარულით არ შეხვედრიან, რასაც მოწმობს ერაყის ქურთისტანში 1920-იან და 30-იან წლებში აჯანყების არაერთი მცდელობა, თუმცა წინააღმდეგობის ეს ტალღა ნაკლებად იყო ნაციონალისტური ხასიათის, რადგან მცდელობათა უდიდესი ნაწილი რომელიმე კონკრეტული ჯგუფისა თუ გაერთიანების ინტერესებს ეფუძნებოდა და არა - დამოუკიდებლობის მოპოვებისთვის ბრძოლის იდეას.

1919 წელს შეიხ მაჰმუდ ბარზინიას მიერ ქურთისტანისთვის დამოუკიდებლობის მოპოვების მცდელობაც უაღრესად არაორგანიზებულ და ქაოტურ პროცესს წარმოადგენდა, რომელიც მალევე დასრულდა მარცხითა და ამბოხის მოთავეთა დაპატიმრებით.[15] შესაბამისად, ქურთული ნაციონალიზმის დაბადების სიმბოლურ თარიღად შეგვიძლია 1943 წელი მივიჩნიოთ, როდესაც თანამედროვე ქურთული რეგიონული მთავრობის პრეზიდენტის, მასუდ ბარზანის მამამ, მუსტაფა ბარზანიმ ღიად გამოაცხადა ახალი

[13] იქვე, 12
[14] იქვე, 13-15
[15] Gareth R. V. Stansfield, “Iraqi Kurdistan: Political development and emergent democracy”, (London: RoutledgeCurzon, 2003), გვ. 61-62

წინააღმდეგობრივი მოძრაობის ნაციონალისტური მიზნები, ამასთან კი, მის აჯანყებას მხარი დაუჭირა მოსახლეობის მნიშვნელოვანმა ნაწილმა.[16] მიუხედავად იმისა, რომ ეს მცდელობაც წარუმატებლად დასრულდა და ბარზანის, მხარდამჭერებთან ერთად, ირანში გაქცევა მოუწია, წინააღმდეგობის ახალმა ტალღამ საფუძველი ჩაუყარა ქურთი მოსახლეობის პოლიტიკური გააქტიურების, პოლიტიკური კულტურის ამაღლებისა და პარტიების ჩამოყალიბების პროცესს.

1943 წელს ბარზანი ითხოვდა ავტონომიას, რაც, ცხადია, მომავალში დამოუკიდებლობის მოპოვების წინაპირობა უნდა გამხდარიყო. 1946 წელს ირანელმა ქურთებმა ხსენებული მიზნების მიღწევა საბჭოთა კავშირის დახმარებით მოახერხეს და დამოუკიდებლობა გამოაცხადეს. ირანელ ქურთებს მხარი დაუჭირეს ერაყელმა ქურთებმაც, თუმცა საბჭოთა ჯარების მიერ ირანის ტერიტორიის დატოვებისთანავე თეირანის ხელისუფლებამ ეს აჯანყებაც სისხლში ჩაახშო, ხოლო მუსტაფა ბარზანი იძულებული გახდა, ერაყში დაბრუნებულიყო.[17]

1946 წელს მუსტაფა ბარზანისა და მისი თანამოაზრეების მიერ დაფუძნდა „ქურთისტანის დემოკრატიული პარტია“ (Kurdistan Democratic Party – KDP)[18] და აღსანიშნავია, რომ უკანასკნელი 60 წლის განმავლობაში, ფაქტობრივად, სწორედ ეს მოძრაობა ქმნის პოლიტიკურ ამინდს ერაყის ქურთისტანის რეგიონში. ერაყელი ქურთების ნაწილისათვის სამწუხაროდ, ქვეყანაში არსებულმა დესტაბილიზაციამ ბარზანი 1946 წელს კიდევ ერთხელ აიძულა, სამშობლო დაეტოვებინა და მომდევნო წლები საბჭოთა კავშირში გაეტარებინა. ამ პერიოდში უკვე ჩამოყალიბებული პარტიის სტრუქტურები მისი ერთ-ერთი დამფუძნებლისგან დამოუკიდებლად ვითარდებოდა, თუმცა ბარზანის დაბრუნებამდე მაინც შეინიშნებოდა ნაციონალისტური სულისკვეთების „დაცხრომის“ ერთგვარი ტენდენცია.[19]

„ქაოსის ეპოქა“ - 1958-1975 წლები

1958 წელს ერაყში მომხდარი სამხედრო გადატრიალების შედეგად, წინა რეჟიმის მიერ რეპრესირებულ მრავალ ქურთს, მათ შორის, ბარზანისაც მიეცა მშობლიურ რეგიონში დაბრუნების საშუალება. თავდაპირველად, მთავრობამ ლოიალური დამოკიდებულება გამოამჟღავნა ქურთების მიმართ, თუმცა ბარზანი და KDP მალევე დაუპირისპირდნენ ახალ რეჟიმსაც, საბოლოოდ კი, 1963 წელს „ბაათის“ პარტიის მიერ ახალი სახელმწიფო გადატრიალების განხორციელებასაც დაუჭირეს მხარი.[20] მანამდე, 1961

[16] იქვე, 62-64
[17] Gareth R. V. Stansfield, “Iraqi Kurdistan: Political development and emergent democracy”, (London: RoutledgeCurzon, 2003), გვ. 64-65.
[18] იქვე, 66-67.
[19] იქვე, 66.
[20] Gareth R. V. Stansfield, “Iraqi Kurdistan: Political development and emergent democracy”, (London: RoutledgeCurzon, 2003), გვ. 67-69.

წლის აჯანყების პერიოდში KDP-ის ხელმძღვანელებმა დაიწყეს ზრუნვა უკეთ ორგანიზებული შეიარაღებული ძალების ფორმირებაზე, რის შედეგადაც ჩამოყალიბდა „პეშმერგას“ ქვედანაყოფები, რომლის რიგებშიც 1962 წლის სექტემბრისთვის უკვე 15000 ჯარისკაცი ერთიანდებოდა.[21]

მომდევნო წლები ერაყის ისტორიაში სამხედრო გადატრიალებებისა და ვითარების ხშირი დესტაბილიზაციის ეპოქადაა შერაცხილი, რაც არცაა გასაკვირი, თუკი გავიხსენებთ, რომ 12-წლიან პერიოდში (1958-1970) ერაყის სხვადასხვა მთავრობამ 5-ჯერ (!) მიიღო დროებითი კონსტიტუცია.[22] ამავე პერიოდში გამოჩნდა შიდაპარტიული განხეთქილების სერიოზული ნიშნებიც ქურთისტანის დემოკრატიულ პარტიაში - გახშირდა მმართველი სტრუქტურის, პოლიტიკური ბიუროსა და უშუალოდ ბარზანის მიერ ერთმანეთთან შეუთანხმებელი გადაწყვეტილებების მიღება, ხოლო მოძრაობის ერთ-ერთმა ლიდერმა, ჯალალ თალაბანიმ, უთანხმოების საფუძველზე სულაც დატოვა ერაყი.[23]

1968 წელს „ბაათი“ ხელახლა მოვიდა ერაყის ხელისუფლების სათავეში. პრეზიდენტი აჰმედ ჰასან ალ-ბაქრი გახდა, ხოლო ვიცე-პრეზიდენტი - სადამ ჰუსეინი.[24] ოფიციალურ ბაღდადსა და ქურთებს შორის გაფორმდა ახალი სამშვიდობო ხელშეკრულება,[25] რომლის თანახმადაც, ერაყელ ქურთებს რეალურად მიეცათ რეგიონში ავტონომიის გარკვეული ელემენტების დამკვიდრების შესაძლებლობა, თუმცა მას შემდეგ, რაც ბაღდადის მთავრობამ ნავთობით მდიდარი კირკუკის რეგიონის ქურთებისთვის გადაცემაზე უარი განაცხადა, 1974 წელს ახალმა აჯანყებამ იფეთქა. 1975 წელს აჯანყება რევოლუციაში გადაიზარდა, თუმცა, საბოლოო ჯამში, ბარზანის ეს მცდელობაც წარუმატებლად დასრულდა.[26]

მუდმივი კონფლიქტებისა და დესტაბილიზაციის ეპოქაში ერაყელ ქურთებს შორის სულ უფრო პოპულარული ხდებოდა ალტერნატიული მოძრაობის ჩამოყალიბების იდეა, ხოლო KDP-ის მორიგმა მარცხმა (1975) ხსენებული იდეის ხორცშესხმის პროცესი კიდევ უფრო მეტად დააჩქარა. სწორედ 1975 წელს ბარზანის ყოფილმა შიდაპარტიულმა მეტოქემ, ჯალალ თალაბანიმ KDP-სგან საბოლოოდ გამიჯვნა და ახალი პოლიტიკური გაერთიანების ჩამოყალიბება გადაწყვიტა, რომელსაც „ქურთისტანის პატრიოტული გაერთიანება“ (Patriotic Union of Kurdistan – PUK) ეწოდა. PUK ჩამოყალიბდა როგორც

[21] იქვე, გვ. 70.
[22] David McDowell, “A Modern History of The Kurds” (London: I.B. Taurus, 2007), გვ. 302-329.
[23] Gareth R. V. Stansfield, “Iraqi Kurdistan: Political development and emergent democracy”, (London: RoutledgeCurzon, 2003), გვ. 67-69.
[24] იქვე, გვ. 69
[25] Kerim Yildiz, „The Kurds In Iraq: The Past, Present and Future“, (London: Pluto Press, 2007), გვ. 17-19.

[26] Gareth R. V. Stansfield, “Iraqi Kurdistan: Political development and emergent democracy”, (London: RoutledgeCurzon, 2003), გვ. 74-77.

მემარცხენე (მაოისტური) დაჯგუფება, რომელიც მიზნად ისახავდა ქურთისტანის „რევოლოციური, დემოკრატიული და პატრიოტული ძალების მობილიზებას“.[27]

ახალი გაერთიანების შექმნა იქცა ერაყის ქურთისტანის საზოგადოების იმ სახით პოლარიზაციის წინაპირობად, რა სახითაც იგი დღესაც არის დაყოფილი: რეგიონის ჩრდილოეთ ნაწილში (ქ. ერბილი) დომინირებს KDP, ხოლო უფრო სამხრეთით (ქ. სულაიმანია) – PUK. ამასთან, პარტიებს შორის არსებული მეტოქეობა არაერთხელ გადაიზარდა სამხედრო დაპირისპირებაში, რაც ხსნის ამ ორი მოძრაობის მხარდამჭერთა შორის ერთმანეთის მიმართ დღესაც არსებულ, ერთგვარ ანტიპათიას.

შინაგანი განხეთქილება და ჰუსეინის რეჟიმის შესუსტება: 1975-2003 წლები

1978 წელს ერაყის ქურთისტანის ორ მთავარ პოლიტიკურ მოძრაობას შორის არსებული დაპირისპირება პირველად გადაიზარდა შეიარაღებული სახის კონფლიქტში („ჰაკარის ხოცვა-ჟლეტა“),[28] რომელსაც ორივე პარტიის მხრიდან შიდა სტრუქტურების რეორგანიზაციის პროცესის დაწყება მოჰყვა. 1979 წელს სიმსივნით გარდაიცვალა მუსტაფა ბარზანი, ხოლო KDP-ის ახალ ლიდერად მისი შვილი, მასუდი აირჩიეს.[29] იმავე წელს ერაყის მთავრობის სათავეში ოფიციალურად მოექცა სადამ ჰუსეინი, რომელიც მანამდეც, ფაქტობრივად, ქვეყნის არაფორმალური მმართველის სტატუსით სარგებლობდა.

ჰუსეინის ანტიდემოკრატიული რეჟიმი გამოირჩეოდა ულმობელი პოზიციით ქურთთა მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების პერსპექტივების წინააღმდეგ. მის მიერ რეპრესირებულ ქურთთა ზუსტი რიცხვი უცნობია, თუმცა აშკარაა, რომ ნაწილობრივ სწორედ ჰუსეინის რეჟიმის ქმედებებმა შეაფერხა 80-იან და 90-იან წლებში ერაყის ქურთისტანის პოლიტიკური განვითარების პროცესი. ე.წ. „არაბიზაციის“ პროცესის განხორციელება ბაათისტურმა რეჟიმმა ჯერ კიდევ 70-იან წლებში დაიწყო, რაც ერაყის ტერიტორიაზე ეთნიკური უმცირესობების შევიწროებასა და არაბი მოსახლეობის ხვედრითი წილის ზრდის პრიორიტეტიზაციას გულისხმობდა; თუმცა 80-იანი წლების მიწურულს ხსენებულ კამპანიას უაღრესად ძალადობრივი ხასიათი მიეცა - ამ პერიოდში განხორციელდა „ალ-ანფალის ოპერაცია“, რომლის დროსაც, ქურთთა ცნობით, ერაყის არმიამ ქიმიური იარაღიც გამოიყენა. ოპერაციის პირველი ორი ტალღის შედეგად, დაახლოებით, 15000 ქურთული სოფლის მაცხოვრებლები იძულებულნი გახდნენ, მშობლიური მხარე დაეტოვებინათ. 1990 წლისთვის, დაახლოებით, 4000 ქურთული სოფელი სრულად იყო განადგურებული.[30][31]

[27] იქვე, გვ. 80-86.
[28] იქვე, გვ. 87-89.
[29] Kerim Yildiz, „The Kurds In Iraq: The Past, Present and Future“, (London: Pluto Press, 2007), გვ. 24.
[30] იქვე, გვ. 25-31
[31] David McDowell, “A Modern History of The Kurds” (London: I.B. Taurus, 2007), გვ. 357-363.

1990 წლის აგვისტოში ერაყის ჯარი ქუვეითში შეიჭრა, რასაც საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან მაშინვე მოჰყვა რეაქცია - ოფიციალური ბაღდადის მიმართ დაწესდა მნიშვნელოვანი ეკონომიკური სანქციები, ხოლო მომდევნო წელს კოალიციურმა სამხედრო ძალებმა ქუვეითი გაათავისუფლეს კიდეც. ამავე პერიოდში ქურთებმა ისარგებლეს შექმნილი მდგომარეობით და „პეშმერგამ" ჩრდილოეთ ერაყის მნიშვნელოვანი ტერიტორიები დაიკავა,[32] თუმცა წარმატება დროებითი აღმოჩნდა - ბაღდადის ჯარებმა მალევე დაიბრუნეს ქურთების მიერ დროებით შემოერთებული ტერიტორიები. საბედნიეროდ, ამჯერად ჰუსეინის შესაძლო აგრესია საერთაშორისო საზოგადოების ჩარევამ აღკვეთა - გარკვეული პერიოდის განმავლობაში აშშ-ის სამხედრო ქვედანაყოფებმა უზრუნველყვეს მეზობელ ქვეყნებში გაქცეული ქურთების მშობლიურ რეგიონში უსაფრთხოდ დაბრუნება და ერაყის ქურთისტანის ტერიტორიაზე სტაბილური მდგომარეობის შენარჩუნება.[33]

მას შემდეგ, რაც აშშ-ის ჯარებმა ქურთისტანის ტერიტორიის დატოვება დაიწყეს, ქურთები იძულებულნი გახდნენ, თავად ჰუსეინთან ეცადათ ავტონომიის საკითხზე მოლაპარაკებების გამართვა, მაგრამ მოლაპარაკებები ვერც ამჯერად დასრულდა წარმატებულად. შედეგად, 1991 წლის ბოლოს ერაყის ჯარებმაც მთლიანად დატოვეს რეგიონი, თუმცა ჰუსეინმა ქურთისტანს ეკონომიკური სანქციები დაუწესა.

მიუხედავად ოფიციალური ბაღდადის მხრიდან გაწეული წინააღმდეგობისა, ქურთებმა ამჯერად მაინც მოახერხეს დე-ფაქტო მთავრობის ჩამოყალიბება - ჩატარებულ არჩევნებში ხმები KDP-სა და PUK-ს შორის თითქმის თანაბრად გადანაწილდა.[34] სამწუხაროდ, ერთი მხრივ, ერაყის ემბარგომ ქურთისტანის მიმართ, ხოლო, მეორე მხრივ, თავად გაეროს ეკონომიკურმა სანქციებმა ერაყისადმი, რეგიონში ეკონომიკური ვითარება უაღრესად დაამძიმა და ხელი შეუწყო ორ პარტიას შორის მანამდე არსებული დაპირისპირების ხელახლა გამწვავებას. შედეგად, 1994 წელს კონფრონტაცია სამოქალაქო ომში გადაიზარდა.[35]

სამოქალაქო ომის პერიოდში PUK-ს მხარი დაუჭირა 1978 წელს თურქეთში დაარსებულმა „ქურთისტანის მუშათა პარტიამ" (Partiya Karkerên Kurdistanê – PKK), რომელიც დღესდღეობით გაეროსა და ევროკავშირის მიერ ტერორისტულ ორგანიზაციადაა აღიარებული. კონფლიქტში PKK-ს ჩარევამ 1997 წელს გამოიწვია თურქეთის ინტერვენცია[36] და საბოლოოდ, ორივე მხარესთან ამერიკელთა მიერ წარმოებული მოლაპარაკებების შედეგად, სამშვიდობო ხელშეკრულებას მხოლოდ 1998 წელს, ვაშინგტონში მოეწერა

[32] Gareth R. V. Stansfield, "Iraqi Kurdistan: Political development and emergent democracy", (London: RoutledgeCurzon, 2003), გვ. 95-96.
[33] Michael J. Kelly, "Ghosts of Halabja" (Westport, Connecticut: Praeger Security International, 2008), გვ. 46-47.
[34] Gareth R. V. Stansfield, "Iraqi Kurdistan: Political development and emergent democracy", (London: RoutledgeCurzon, 2003), გვ. 96.
[35] იქვე, გვ. 96-98.
[36] იქვე, 98-100.

ხელი.[37] მხარეები შეთანხმდნენ, რომ აღარ დაუშვებდნენ საკუთარ ტერიტორიაზე ერაყის ჯარების ყოფნას და PKK-სთან თანამშრომლობას. თავის მხრივ, საჭიროების შემთხვევაში აშშ ორივე მხარეს სამხედრო დახმარების გაწევას შეჰპირდა.

ჰუსეინის რეჟიმის დამხობა და აღმავლობის დასაწყისი - 2003-2014 წლები

2003 წელს ამერიკის შეერთებული შტატების მეთაურობით საერთაშორისო კოალიციამ დაიწყო „ერაყის განთავისუფლების ოპერაცია", რომელიც მიზნად ისახავდა სადამ ჰუსეინის დიქტატორული რეჟიმის დამხობას. ოპერაციაში აშშ-ის, დიდი ბრიტანეთის, ავსტრალიისა და პოლონეთის შეიარაღებულ ძალებს აქტიურად ეხმარებოდა „პეშმერგას" ქვედანაყოფები. შედეგად, ქურთებმა საკმაოდ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ერაყში ჰუსეინის ხანგრძლივი ერთპიროვნული მმართველობის დასრულებაში.[38]

მიუხედავად ზემოხსენებული ოპერაციის წარმატებულად დასრულებისა, კოალიციის ჯარები კიდევ 8 წლის განმავლობაში რჩებოდნენ ერაყის ტერიტორიაზე, რასაც განაპირობებდა ქვეყნის შიგნით არსებული არასტაბილური პოლიტიკური გარემო. 2005 წელს ერაყში არჩევნები ჩატარდა, რომლის შედეგადაც ერაყის საკანონმდებლო ორგანოში ადგილები სამ პარტიას შორის გადანაწილდა: ხმათა უმრავლესობა იბრაჰიმ ალ-ჯააფარის პარტიამ, „ერაყის ეროვნულმა ალიანსმა" (National Iraqi Alliance – NIA) მიიღო, ხოლო უმცირესობის ფორმირება ჯალალ თალაბანის და მასუდ ბარზანის (ქურთისტანის დემოკრატიულ-პატრიოტული ალიანსი - DPAK) და იად ალავის კოალიციებმა (Iraqi List) მოახდინეს. მიუხედავად იმისა, რომ ჰუსეინის მომხრე „ბაათისტები" არჩევნების ჩაშლითა და ტერორისტული აქტების მოწყობით იმუქრებოდნენ, არჩევნებმა მეტნაკლებად მშვიდობიან გარემოში ჩაიარა, თუმცა არაბი სუნიტების ბოიკოტმა ახალი მთავრობის ლეგიტიმაციასთან დაკავშირებული პრობლემები გარკვეული დროის განმავლობაში აქტუალური გახადა.[39]

იმავე წელს ჩატარდა არჩევნები ქურთისტანის ნახევრად ავტონომიურ რეგიონშიც, სადაც საკანონმდებლო ორგანოს 111 ადგილიდან 104 თალაბანისა და ბარზანის კოალიციამ მოიპოვა. კოალიციის შიგნით ქურთისტანის ორმა მთავარმა პარტიამ (KDP და PUK) ხმების თითქმის თანაბარი რაოდენობა მოაგროვეს. 2005 წელსვე ერაყის მე-6 პრეზიდენტად ჯალალ თალაბანი, ხოლო ქურთისტანის რეგიონული მთავრობის მეთაურად და პრეზიდენტად - მასუდ ბარზანი აირჩიეს. 15 ოქტომბერს რატიფიცირებული კონსტიტუციის თანახმად, ქურთისტანის რეგიონულმა მთავრობამ (KRG) ოფიციალურად მოიპოვა აღიარება ბაღდადისგან - ქურთთა დე-ფაქტო მთავრობა დე-იურე პოლიტიკურ

[37] იქვე, 100-102.
[38] J. Kelly, "Ghosts of Halabja" (Westport, Connecticut: Praeger Security International, 2008), გვ. 52-53.
[39] Kerim Yildiz, „The Kurds In Iraq: The Past, Present and Future", (London: Pluto Press, 2007), გვ. 127-131.

სუბიექტად იქცა. ერაყელმა ქურთებმა მიიღეს საკუთარი შეიარაღებული ძალების („პეშმერგა“) ყოლის უფლებაც, ხოლო ქურთული სახელმწიფო ენად იქნა აღიარებული.

ზემოხსენებულმა მოვლენებმა ქურთებს ისტორიაში პრაქტიკულად პირველად მისცა რეალურად ავტონომიური განვითარების შესაძლებლობა.

ახალი პოლიტიკური კრიზისი

2014 წელს ისლამური სახელმწიფოს მიერ ერაყის ტერიტორიების მნიშვნელოვანი ნაწილის ოკუპაციამ სათავე დაუდო რეგიონული მასშტაბის მორიგ დესტაბილიზაციას. „სტაბილურობის ოაზისად“ წოდებულ ერაყის ქურთისტანშიც პოლიტიკური ვითარება უაღრესად დაიძაბა, რადგან მასუდ ბარზანის საპრეზიდენტო ვადა 2015 წელს ამოეწურა,[40] თუმცა მას შემდეგ, ისლამურ სახელმწიფოსთან ბრძოლისა და მძიმე ეკონომიკური კრიზისის პირობებში, არჩევნების ჩატარება ვერ მოხერხდა.

KRG-ის პოლიტიკური ოპონენტები ბარზანის ძალაუფლების ხელოვნურად გახანგრძლივების მცდელობაში ადანაშაულებენ, რასაც აშკარად აქვს საფუძველი: რეგიონის საკანონმდებლო ორგანოს, ისევე როგორც თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების ფუნქციონირება შეწყვეტილია და უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ერაყის ქურთისტანის მმართველობა პრაქტიკულად მთლიანად ბარზანების ოჯახის ხელშია (პრემიერ-მინისტრის პოსტს ბატონი მასუდის ბიძაშვილი - ნეჩერვან ბარზანი იკავებს).[41]

მმართველ პარტიასა და ოპოზიციურ ძალებს შორის საკანონმდებლო ორგანოს რეაქტივაციასა და ახალი არჩევნების ჩატარებასთან დაკავშირებით მოლაპარაკებები უკვე რამდენჯერმე ჩაიშალა, რის გამოც მოქმედი მთავრობა ლეგიტიმაციისა და ხალხის მხრიდან ნდობის ნაკლებობას განიცდის. მიუხედავად იმისა, რომ მასუდ ბარზანი კვლავ გამოთქვამს მზაობას მოლაპარაკებების განახლებისთვის, ხსენებული პროცესები ცხადყოფს ვარაუდებს იმის შესახებ, რომ KDP-ის მმართველობაში ანტიდემოკრატიული ელემენტები ჩნდება.

საბედნიეროდ, დაპირისპირება ძალადობაში ჯერ არ გადაზრდილა, რადგან ოფიციალურად, ორივე მხარე შიდაპოლიტიკურ სტაბილურობას პრიორიტეტად აცხადებს და აღიარებს, რომ კრიზისის აღმოსაფხვრელად დროული რეაგირების მოხდენაა საჭირო. თავის მხრივ, ქურთისტანის დემოკრატიული პარტიაც ლეგიტიმური არჩევნების ჩატარებას ითხოვს, რომელშიც უშუალოდ მასუდ

[40] Yaroslav Trofimov, “After Mosul, Iraq’s Kurds Face Internal Crisis”, Wall Street Journal Online, ინტერნეტი, http://www.wsj.com/articles/after-mosul-iraqs-kurds-face-internal-crisis-1479983400; ბოლო ნახვა: 13 დეკემბერი, 2016.
[41] იქვე.

ბარზანი მონაწილეობას აღარ მიიღებს, თუმცა მანამდე იგი მაინც უნდა დარჩეს დაკავებულ თანამდებობაზე.[42]

ერაყის ქურთისტანის ეკონომიკური მდგომარეობა

რესურსების მოპოვება და სამრეწველო სფეროს განვითარება

წლების განმავლობაში არსებულმა პოლიტიკურმა სტაბილურობამ გარკვეული პერიოდის განმავლობაში სამხრეთ ქურთისტანის რეგიონს სწრაფი ეკონომიკური განვითარების საშუალება მისცა.

ბაათისტური რეჟიმის პირობებში ქურთისტანის ნავთობისა და გაზის მარაგებს ნაკლები ყურადღება ექცეოდა - მთავრობა ქალაქ კირკუკის შემოგარენსა და სამხრეთ ერაყში არსებული რესურსების განვითარებაზე იყო ფოკუსირებული;[43] თუმცა 2005 წლიდან რეგიონის ბუნებრივი რესურსები KRG-ის ხელში აღმოჩნდა, რომლის მონაცემების თანახმად, ერაყის ქურთისტანის ნავთობის განახლებადი მარაგი ამჟამად 45 მილიონ ბარელს შეადგენს, ხოლო რეგიონში არსებული გაზის მარაგების მოცულობა 5.6 ტრილიონ კუბურ მეტრს აღწევს. მიუხედავად ამისა, სამრეწველო სფეროს განვითარებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურისა და საერთაშორისო ვაჭრობის ხელშემწყობი სხვა მრავალი გარემოების არარსებობა დიდი ხნის განმავლობაში რჩებოდა რეგიონის უმთავრეს გამოწვევად - ჩრდილოეთ ერაყში 2004 წლისათვის ენერგორესურსების ვარგისიანი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა მხოლოდ ქალაქ კირკუკსა და თურქულ პორტ ჯეიჰანს შორის არსებობდა.[44]

2006 წელს ქურთისტანის რეგიონულ მთავრობაში შეიქმნა ბუნებრივი რესურსების სამინისტრო, ხოლო 2007 წელს ძალაში შევიდა კანონი ნავთობისა და გაზის შესახებ.[45] ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ მალევე შეიმუშავა ენერგორესურსების განვითარების გეგმა და საკვანძო როლიც შეასრულა ამ გეგმის შესრულების პროცესში. მინისტრმა ასთი ჰავრამიმ საერთაშორისო ნავთობმომპოვებელ კომპანიებს წარმოუდგინა ე.წ. „წარმოების განაწილების კონტრაქტები“, რომელთა საშუალებითაც მსხვილ კორპორაციებს ქურთისტანის რეგიონში საქმიანობის უკეთესი პირობები ეძლეოდათ, ვიდრე სამხრეთ ერაყში.[46]

ვენეციის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი და მკვლევარი, კარლო ფრაპი ერაყის ქურთისტანის ენერგეტიკული სექტორის განვითარების სამ სტადიას გამოყოფს: თავდაპირველი გახსნა

---

[42] იქვე.
[43] Stefano M. Torelli, “Kurdistan – An Invisible Nation”, (Milan: The Italian Institute for International Political Studies, 2016), გვ. 96-100.
[44] იქვე, გვ. 97.
[45] იქვე, გვ. 101.
[46] იქვე, გვ. 101-102.

(2004-06), რეგულირება და გაფართოება (2007-10) და კონსოლიდაცია (2011-2014).[47] განვითარების მეორე ფაზა, პირველთან შედარებით, უკვე ხასიათდებოდა უფრო მეტი მსხვილი კორპორაციის მოზიდვითა და კონტრაქტების გაფორმებით. ინვესტირების პოლიტიკის წარმატებულობას, ხელსაყრელ ეკონომიკურ პირობებთან ერთად, რეგიონში არსებული სტაბილურობაც განაპირობებდა - უსაფრთხოების გარანტიებმა მნიშვნელოვნად წაახალისა ენერგოსექტორის განვითარება.

წინსვლის მესამე ფაზა, როგორც უკვე აღინიშნა, 2011 წლიდან დაიწყო: ამ დროიდან ერაყის ქურთისტანის რეგიონული მთავრობა უკვე თანამშრომლობს ისეთ მასშტაბურ კომპანიებთან, როგორებიცაა გაზპრომი, შევრონი და სხვ. ამასთან, სწორედ ამ წლებში მკვეთრად გაიზარდა დამუშავებული და წარმოებული ნავთობპროდუქციის რაოდენობაც.[48]

მიუხედავად მიღწეული წარმატებისა, ენერგორესურსების მოპოვებისა და განაწილების კონტროლის თაობაზე უთანხმოება ოფიციალურ ბაღდადსა და ერბილს შორის დღემდე არსებობს. უპირველეს ყოვლისა, დავის საგნად იქცა კონსტიტუციის რამდენიმე მუხლში არსებული ხარვეზები, რომელთაც ორივე მხარე თავისთვის სასარგებლო ინტერპრეტაციით იყენებს.[49] კირკუკის რეგიონთან დაკავშირებულ უთანხმოებას დაემატა ისიც, რომ ბაღდადის მთავრობამ უარი განაცხადა ერაყის ქურთისტანის მიერ საერთაშორისო კორპორაციებთან ვაჭრობისას სატრანსპორტო ხარჯების გაწევაზე. შესაბამისად, KRG-მ (რომელსაც დამოუკიდებელ ვაჭრობაში ხელს „ჩაკეტილი“ მდგომარეობა უშლიდა - რეგიონს არ აქვს ზღვაზე გასასვლელი) დაიწყო დამოუკიდებლად ვაჭრობის გზების გამონახვა.

2012 წლიდან ერბილმა დაიწყო აქტიური თანამშრომლობა ოფიციალურ ანკარასთან.[50] ახალი ნავთობსადენი თაქ-თაქსა და ჯეიჰანს შორის ფუნქციონირებს და მისი საშუალებით ქურთული ნავთობის ექსპორტის რაოდენობა უკანასკნელ წლებში რამდენჯერმე გაიზარდა. გარდა იმისა, რომ თანამშრომლობის გაღრმავებამ გამოიწვია ანკარასა და ბაღდადს შორის ისედაც დაძაბული ურთიერთობების კიდევ უფრო მეტად გამწვავება, ერაყის ქურთისტანი საბოლოოდ შევიდა მიღწეული შედეგებისგან არსებითი სარგებლის მიღების, ანუ „შედეგების კონსოლიდაციის“ ხანაში და მოიპოვა აქამდე არნახული ეკონომიკური დამოუკიდებლობა.

თაქ-თაქ-ჯეიჰანის ნავთობსადენი 2013 წელს ამუშავდა, თუმცა პირველ წელს მისი საშუალებით მხოლოდ 491 ათასი ბარელი ნავთობი გადაიზიდა. სამაგიეროდ, მომავალ წლებში აღნიშნული რიცხვი მკვეთრად გაიზარდა და საკმაოდ სოლიდურ მაჩვენებელსაც მიაღწია: ქურთისტანის ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ცნობით, 2015 წელს ამ ნავთობსადენის გამოყენებით, დაახლოებით 138,661,000

[47] იქვე, გვ. 102.
[48] იქვე, გვ. 103.
[49] იქვე, გვ. 104-107.
[50] იქვე, 109-111.

ბარელი ნავთობი იქნა ექსპორტირებული, ხოლო თუკი მხედველობაში მივიღებთ კირკუკის რეგიონიდან ექსპორტირებული ნავთობის რაოდენობასაც, აღნიშნულ რიცხვი 179,622,722-ს მიაღწევს.[51]

საბოლოო ჯამში, სწორედ ენერგოსფეროში გატარებულმა რეფორმებმა და ბაზრის ლიბერალიზაციისკენ მიმართულმა ეფექტიანმა პოლიტიკამ განაპირობა 2004-2014 წლებში ქურთისტანის რეგიონის ეკონომიკური აღმავლობა, თუმცა ისლამური სახელმწიფოს ერაყში შეჭრამ საფუძველი ჩაუყარა ახალ ეკონომიკურ კრიზისს, რამაც წლების განმავლობაში თანმიმდევრულად მიღწეული შედეგები, ისევე როგორც დამოუკიდებლობის პერსპექტივა, სერიოზული საფრთხის ქვეშ დააყენა.

ახალი ეკონომიკური კრიზისი

მას შემდეგ, რაც ისლამურმა სახელმწიფომ ერაყის ტერიტორიაზე ახალი ხალიფატის შექმნა გამოაცხადა, ორ წელზე მეტი გავიდა, ერაყის ქურთისტანში ნაწილობრივ ისლამურ სახელმწიფოსთან ბრძოლით გამოწვეული ეკონომიკური კრიზისი კი სულ უფრო მეტად ამძიმებს მოსახლეობის მდგომარეობას.

მძაფრი ეკონომიკური კრიზისის ერთ-ერთ გამოხატულებად საჯარო სექტორის მოხელეებისათვის რეგიონული მთავრობის მიერ ხელფასების გაცემის უუნარობა იქცა - შედეგად, საჯარო სკოლები და უნივერსიტეტები დაიხურა და მხოლოდ რეგიონის მდიდარ მაცხოვრებლებს აქვთ საშუალება, ისარგებლონ კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებების მომსახურებით. ხსენებული ვითარება ზრდის აპათიასა და უნდობლობას მთავრობის მიმართ, ხოლო მოსახლეობის დიდი ნაწილისათვის დამოუკიდებლობაც აღარ წარმოადგენს იმ სანუკვარ ოცნებას, რომლისთვისაც ერაყელი ქურთები ათწლეულების განმავლობაში იბრძოდნენ - საზოგადოების სკეპტიკურად განწყობილი ნაწილი მიიჩნევს, რომ უმძიმეს ეკონომიკურ ვითარებაში ჩავარდნილ რეგიონს არ შესწევს სახელმწიფო სტრუქტურების შექმნისა და დამოუკიდებლად განვითარების ძალა.[52]

კრიზისის მიზეზად მთელი რიგი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური გარემოებები იქცა, რომელთა ერთიანმა ზემოქმედებამ ქურთისტანის ეკონომიკაზე „იდეალური შტორმის“ ეფექტი მოახდინა.[53] „ენერგიის გლობალური ცენტრის“ მკვლევარი ჯონ რობერტსი ვითარების დამძიმების სამ ძირითად ეკონომიკურ მიზეზს გამოყოფს. ესენია: ნავთობის ფასების დაცემა, სახელმწიფო შემოსავლის ძირითადი წყაროს ნაწილობრივი დაკარგვა კირკუკ-ჯეიჰანის ნავთობსადენის დროებითი დახურვის

[51] იქვე, გვ, 110.
[52] Tania Goudsouzian, "For Iraq's Kurds, it's not about independence anymore", Al Jazeera Online; ინტერნეტი; http://www.aljazeera.com/blogs/middleeast/2016/11/iraq-kurds-independence-anymore-161114110224637.html; ბოლო ნახვა: 13 დეკემბერი, 2016.
[53] Stefano M. Torelli, "Kurdistan – An Invisible Nation", (Milan: The Italian Institute for International Political Studies, 2016), გვ. 111.

შედეგად და საკონტრაქტო პირობებთან დაკავშირებული პრობლემები რეგიონში მოქმედ საერთაშორისო კომპანიებთან.[54] თუკი ამას დავუმატებთ ერაყის სხვა რეგიონებიდან ქურთისტანში გადმოსახლებულ დევნილთა საკმაოდ დიდ რიცხვს, ერაყის მთავრობის მიერ საერთო ბიუჯეტიდან რეგიონისათვის გამოყოფილი თანხის შეკვეცასა და ომის პირობებში მთავრობის პოლიტიკური სტრუქტურების მოშლას, მივიღებთ ხსენებული ეკონომიკური კოლაფსის გამომწვევი მიზეზების საკმაოდ კომპლექსურ ერთობლიობას.

მიუხედავად იმისა, რომ KRG ვერ ახერხებს ვერც ენერგორესურსების მომპოვებელ კომპანიებთან საკონტრაქტო პირობების შესრულებასა და ვერც მუშახელისთვის ხელფასების გაცემას, საკვანძო პრობლემად, შესაძლოა, მაინც ისლამურ სახელმწიფოსთან ბრძოლაში გაწეული ხარჯები მივიჩნიოთ: „პეშმერგას“ რიგებში სულ უფრო მეტი ადამიანი ეწერება, რადგან ეს ერთადერთი „საჯარო სამსახურია“, რომლის „მოხელეებსაც“ დროდადრო მაინც ურიგებენ ხელფასს, თუმცა ქურთული არმიის ქვედანაყოფების დაფინანსების ხარჯები ცენტრალური მთავრობის მიერ გაწერილ ბიუჯეტში არ შედის, რის გამოც ქურთისტანის რეგიონულ მთავრობას თავად უწევს ამ ფინანსების მოძიება.[55]

2015 წლის 20 ნოემბერს, ისტანბულში, ატლანტიკური საბჭოს ენერგეტიკულ და ეკონომიკურ სამიტზე გამოსვლისას ერაყის ქურთისტანის ბუნებრივი რესურსების მინისტრმა განაცხადა, რომ KRG-მ „გამოყოფილი 7 მილიარდის ნაცვლად მხოლოდ 2 მილიარდი... [მიიღო]... ამიტომ ... [მათ სჭირდებათ საკუთარი ნავთობის თავადვე, დამოუკიდებლად გაყიდვა].“[56] ამასთან, ჰავრამის განცხადებით, KRG-მ 2014 წლის ბოლოსთვის 1.4 მილიონი საჯარო მოხელისთვის ვერ მოახერხა ხელფასებს გადახდა. მსგავს პირობებში ხელისუფლება იძულებულია, დახმარებისთვის მიმართოს მსოფლიო ბანკს, საერთაშორისო სავალუტო ფონდს ან მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების კომერციულ ბანკებს, თუმცა დაძაბული პოლიტიკური ვითარება ხელს უშლის ამგვარი დახმარების მიღებასაც.[57]

ეკონომიკური კრიზისის კიდევ ერთ მიზეზად შეგვიძლია მივიჩნიოთ კორუფცია, რომელსაც ფესვები ღრმად აქვს გადგმული KRG-ის სტრუქტურებში და რომლის მოსპობაც კოალიციური მთავრობის შემადგენლობაში შემავალი ახალი პარტიის - „ცვლილებების მოძრაობის“ (Change Movement) - ერთ-ერთი

[54] John Roberts, „Iraqi Kurdistan Oil and Gas Outlook“, Atlantic Council – Global Energy Center and Dinu Patriciu Eurasia Center, 2016 წლის სექტემბერი, გვ. 3.
[55] Ehsen Mamakani, “Five Reasons for Kurdistan Region financial crisis”, Kurdistan24 Online; ინტერნეტი; http://www.kurdistan24.net/en/news/0e44d797-1d90-4d2d-afec-2832a4a7785c/five-reasons-for-kurdistan-region-financial-crisis; ბოლო ნახვა: 13 დეკემბერი, 2016.
[56] John Roberts, „Iraqi Kurdistan Oil and Gas Outlook“, Atlantic Council – Global Energy Center and Dinu Patriciu Eurasia Center, 2016 წლის სექტემბერი, გვ. 3.
[57] იქვე, გვ. 3-4.

მთავარი მიზანი და ქურთისტანის დემოკრატიული პარტიის მმართველობის საწინააღმდეგოდ არსებული უმთავრესი არგუმენტია.[58]

რაც შეეხება უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ პრობლემებს, ამ მხრივ გასათვალისწინებელია მთავარ სავაჭრო პარტნიორ ქვეყანაში - თურქეთში არსებული ვითარებაც. თურქეთში მოქმედი ტერორისტული ორგანიზაცია „ქურთისტანის მუშათა პარტია“ გასული წლის განმავლობაში არაერთხელ შეეცადა კირკუკ-ჯეიჰანის ნავთობსადენის დაზიანებას. ტერორისტებმა რამდენჯერმე მიაღწიეს კიდევაც მიზანს, შედეგად კი ერაყის ქურთისტანის მთავრობის ზარალმა დაახლოებით, 550 მილიონი დოლარი შეადგინა.[59] იქიდან გამომდინარე, რომ თურქეთის ხელისუფლებას თავადაც უწევს ქურთული წარმომავლობის ჯგუფთან დაპირისპირება, რთული სათქმელია, რა მიდგომა ექნება ერდოღანის მთავრობას ერაყელი ქურთების პრობლემებთან დაკავშირებით. მართალია თურქები KRG-ს ზარალის ნაწილის ანაზღაურებას დაჰპირდნენ,[60] თუმცა თურქეთისა და ერაყის ქურთისტანის პარტნიორობის მომავალი ისეთივე ბუნდოვანია, როგორც მძიმე ეკონომიკურ კრიზისში მყოფი რეგიონის დამოუკიდებლობის პერსპექტივები.

საბოლოო ჯამში, ერაყის ქურთისტანის რეგიონის ეკონომიკურ მდგომარეობას საკვანძო მნიშვნელობა აქვს აქამდე არსებული სტაბილურობის აღდგენასა და დამოუკიდებლობის მოპოვების პერსპექტივების შენარჩუნებაში, თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, არასტაბილური პოლიტიკური გარემო ეკონომიკურ ვითარებასთან მჭიდრო კავშირშია. შესაბამისად, კრიზისული მდგომარეობის აღმოფხვრის გზების ძიებას კვლავ პოლიტიკური დაპირისპირებების სათავემდე მივყავართ, რომელიც, თავის მხრივ, ისლამური სახელმწიფოს ერაყის ტერიტორიაზე შემოჭრასა და ტერიტორიების დიდი ნაწილის ოკუპირებას უკავშირდება.

ბრძოლა ისლამური სახელმწიფოს წინააღმდეგ

ერაყის არმიის კოლაფსი

2014 წლის ივნისში ისლამურმა სახელმწიფომ მოკავშირეებთან ერთად ჩრდილოეთ ერაყზე თავდასხმითი ოპერაცია წამოიწყო. 10 ივნისისათვის ტერორისტებმა მოახერხეს ნინევიის პროვინციის დიდი ნაწილის, მათ შორის, ერაყის სიდიდით მეორე ქალაქის, მოსულის დაკავებაც,[61] რის შემდეგაც ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა. მომდევნო დღეების განმავლობაში ისლამური სახელმწიფოს წინსვლა გაგრძელდა, ხოლო ერაყის ჯარმა უკან, სამხრეთით დაიხია, რის შედეგადაც ტერორისტული ორგანიზაციისა და ერაყის ქურთისტანის მიერ კონტროლირებად ტერიტორიებს შორის გაჩნდა დიდი

[58] იქვე, გვ. 4.
[59] იქვე, გვ. 11.
[60] იქვე, გვ. 11.
[61] Suadad Al-Salhy and Tim Arango, “Sunni Militants Drive Iraqi Army Out of Mosul”, New York Times Online; ინტერნეტი; https://www.nytimes.com/2014/06/11/world/middleeast/militants-in-mosul.html?_r=0; ბოლო ნახვა: 13 დეკემბერი, 2016.

ვაკუუმი, ხოლო ნახევრად ავტონომიური რეგიონი ცენტრალური ხელისუფლების არმიის დაცვის გარეშე დარჩა. იქიდან გამომდინარე, რომ საფრთხე შეექმნა ქურთისტანის რეგიონის ტერიტორიულ მთლიანობასაც, პეშმერგას ქვედანაყოფებმა თანმიმდევრულად დაიწყეს ხსენებული ვაკუუმის შევსება და დაიკავეს ნინევიის პროვინციის ნაწილი, მათ შორის, ქალაქი კირკუკიც.[62]

12 ივნისს ისლამურმა სახელმწიფომ განაგრძო წინსვლა ბაღდადისკენ, თუმცა 13 ივნისს ერაყის ჯარმა კონტრშეტევა წამოიწყო, რამაც წინსვლა დროებით შეაჩერა. მოგვიანებით, ტერორისტებმა კიდევ რამდენიმე მნიშვნელოვანი დასახლებული პუნქტის ხელში ჩაგდება მოახერხეს და 29 ივნისს ხალიფატის შექმნაც გამოაცხადეს.[63]

მიუხედავად იმისა, რომ ერაყის არმიამ ისლამური სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ კონტრშეტევებში გარკვეულ წარმატებას მიაღწია და მნიშვნელოვანი ტერიტორიებიც გაათავისუფლა, სამხედრო დაპირისპირების პირველ ეტაპზე აშკარა იყო ერაყის არმიის სრული კოლაფსი: ქალაქი მოსული ისლამურმა სახელმწიფომ მხოლოდ 1500 მებრძოლის ძალისხმევით დაიკავა, ხოლო შემდგომ წინსვლაში მას ხელი შეუშალა არა ერაყის არმიის, არამედ პეშმერგას მანევრირებამ,[64] ქურთული არმიის მნიშვნელოვანი ტერიტორიული წინსვლა კი ოფიციალური ბაღდადის შეშფოთების მიზეზად იქცა.

ერთობლივი ბრძოლა ისლამური სახელმწიფოს წინააღმდეგ

ზემოხსენებული ვაკუუმის შევსების ბრძანება მასუდ ბარზანიმ ჯერ კიდევ ივნისში გასცა, თუმცა უფრო აქტიურად პეშმერგა ისლამურ სახელმწიფოსთან ბრძოლაში 3 აგვისტოს შემდეგ ჩაერთო - სწორედ ამ დღეს ტერორისტულმა ორგანიზაციამ უშუალოდ შეუტია ქურთისტანსაც.[65]

როგორც უკვე აღინიშნა, საომარი მოქმედებების პირველ ეტაპზე ქურთული სამხედრო ქვედანაყოფების მოქმედება, ერაყის არმიასთან შედარებით, უფრო ორგანიზებული და წარმატებული იყო. პეშმერგას ათიათასობით მეომარმა მალევე მოახერხა ისლამური სახელმწიფოს შეტევის ნაწილობრივ უკუგდება,

[62] Stefano M. Torelli, "Kurdistan – An Invisible Nation", (Milan: The Italian Institute for International Political Studies, 2016), გვ. 82-86.
[63] Matt Bradley, "ISIS Declares New Islamist Caliphate", Wall Street Journal Online; ინტერნეტი; http://www.wsj.com/articles/isis-declares-new-islamist-caliphate-1404065263; ბოლო ნახვა: 13 დეკემბერი, 2016.
[64] Stefano M. Torelli, "Kurdistan – An Invisible Nation", (Milan: The Italian Institute for International Political Studies, 2016), გვ. 86-87.
[65] Dr. Seth J. Frantzman, "Mosul Op: The Kurdish perspective and the battle for Mosul", (

თუმცა ტერორისტთა ახალი თავდასხმითი ოპერაცია წარმატებულად განხორციელდა და გარკვეული პერიოდის განმავლობაში ISIS ერბილს 35 მილის დისტანციაზე მიუახლოვდა.[66]

მიუხედავად მებრძოლების სოლიდური რაოდენობისა (სხვადასხვა მონაცემებით, პეშმერგას რიგებში, დაახლოებით, 150 ათასი ჯარისკაცი ირიცხება),[67] ქურთისტანის არმიას გაუჭირდა ისლამური სახელმწიფოს შეტევებთან გამკლავება, რადგან ამ უკანასკნელთან შედარებით, პეშმერგას მოძველებული ტექნიკითა და ურბანული საბრძოლო მოქმედებებისთვის შეუსაბამოდ გაწვრთნილი ჯარისკაცებით უწევდა ბრძოლა.[68]

საბედნიეროდ, საერთაშორისო კოალიციის რეაგირებამ და დახმარებამ ISIS-ის წინსვლის დროულად შეჩერება განაპირობა: 18 აგვისტოს პეშმერგას, ერაყის არმიისა და აშშ-ის საჰაერო ძალების საერთო ძალისხმევით ისლამური სახელმწიფოსგან გათავისუფლდა ერაყის უდიდესი, მოსულის კაშხალი.[69] აგვისტოს ბოლოდან საერთაშორისო საზოგადოებამ დაიწყო ერაყში ჰუმანიტარული დახმარების გაგზავნა. შემდგომი თვეების განმავლობაში ისლამურმა სახელმწიფომ კიდევ რამდენიმე მარცხი განიცადა, თუმცა 2015 წლის მანძილზე ტერორისტთა მხრიდან ჯერ კიდევ იყო შეტევითი ოპერაციების განხორციელების მცდელობები, რომელთა უმრავლესობაც უშედეგოდ დასრულდა. საბოლოოდ, 2016 წლის სექტემბრიდან ISIS მთლიანად თავდაცვით სამხედრო წყობაზე გადავიდა და მთავარ მიზნად არსებული პოზიციების შენარჩუნება დაისახა.

მოსულის ოპერაცია

შეტევითი ოპერაციის დაწყების წინაპირობები და საწყისი ეტაპი

მიუხედავად ISIS-ის წინააღმდეგ ერთობლივი ძალისხმევის შედეგად მიღწეული წარმატებებისა, ტერორისტული ორგანიზაციის „ერაყული დედაქალაქი“ - მოსული - სამხედრო დაპირისპირების საკვანძო წერტილად იქნა მიჩნეული. იქიდან გამომდინარე, რომ ერთ დროს ერაყის სიდიდით მეორე ქალაქის დაბრუნების გარეშე ქვეყნის ტერიტორიებიდან ისლამური სახელმწიფოს საბოლოოდ განდევნა პრაქტიკულად წარმოუდგენელია, კოალიციურმა ძალებმაც მთავარ მიზნად მოსულის განთავისუფლება დაისახეს.

---

[66] Stefano M. Torelli, “Kurdistan – An Invisible Nation”, (Milan: The Italian Institute for International Political Studies, 2016), გვ. 82.

[67] Raja Abdulrahim, “Are Iraq’s renowed peshmerga fighters any match for Islamic State?”, Los Angeles Times Online; ინტერნეტი; http://www.latimes.com/world/middleeast/la-fg-iraq-peshmerga-training-20141009-story.html; ბოლო ნახვა: 13 დეკემბერი, 2016.

[68] იქვე.

[69] Jethro Mullen and Susanna Capelouto, “U.S. airstrikes critical in Mosul Dam capture”, CNN Online; ინტერნეტი; http://edition.cnn.com/2014/08/18/world/meast/iraq-mosul-dam/; ბოლო ნახვა: 13 დეკემბერი, 2016.

დასახული მიზნის განხორციელებისთვის ნიადაგის შემზადებას ერაყის ჯარები, პეშმერგა და საერთაშორისო კოალიცია 2015 წლიდანვე შეუდგნენ, თუმცა უშუალოდ „ბრძოლა მოსულისთვის“ 2016 წლის ოქტომბერში დაიწყო.[70] სხვადასხვა ვარაუდით, ოპერაცია 2-3 თვეს უნდა გაგრძელებულიყო, თუმცა ბრძოლის პირველ ეტაპზე მიღწეული წარმატებების შემდეგ, მოსულთან 5 მილის დისტანციაზე მიახლოებულ მოკავშირეებს სულ უფრო მეტად უჭირთ წინსვლა, ხოლო ბაღდადსა და ერბილს შორის უკვე დაკავებული ტერიტორიების გადანაწილებასთან დაკავშირებული უთანხმოება დროდადრო საკმაოდ მწვავე ხასიათს იძენს.

1 ნოემბერს კოალიციური ძალები ქალაქში შევიდნენ, თუმცა მას შემდეგ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, წინსვლა უაღრესად გართულებულია.[71] ისლამური სახელმწიფო ბრძოლის არც ერთ საშუალებაზე არ ამბობს უარს და „წარმატებით“ იყენებს თვითმკვლელ ჯიჰადისტებს, მოსახლეობას (ცოცხალ ფარად), ნავთობმარაგებს და საბურავებს (დასაწვავად და თვითმფრინავებისთვის ხილვადობის შესასუსტებლად), ხოლო მოკავშირეები აწყდებიან კლიმატთან დაკავშირებულ პრობლემებსაც. გარდა ამისა, ქალაქის მაცხოვრებლები კოალიციური ძალების დახმარებას, ფაქტობრივად, ვეღარ ახერხებენ, რადგან მსგავს მცდელობებს ისლამური სახელმწიფო სასტიკად აღკვეთს.[72] [73]

საბოლოო ჯამში, ამ დროისათვის მოკავშირეებმა უკვე მოახერხეს ისლამური სახელმწიფოს მიერ დაკავებული ტერიტორიების უდიდესი ნაწილის გათავისუფლება, თუმცა მოსულისთვის ბრძოლის ფინალური ეტაპი მხოლოდ ახლა იწყება და, სხვადასხვა ვარაუდით, საბოლოო შეტევის ხანგრძლივობა კიდევ 2-3 თვით განისაზღვრება.[74]

ერაყელი ქურთების პოზიცია და მოტივები

ქურთი სამხედროების მტკიცებით, მოსულისთვის ბრძოლაში, თავდაპირველად, სწორედ მათ ეკავათ უპირატესი პოზიცია, რადგან ქალაქში შესასვლელად 5 სხვადასხვა გზა ჰქონდათ დაკავებული მაშინ, როდესაც ერაყის არმიას მხოლოდ 1 მსგავსი შესაძლებლობა გააჩნდა.[75] დღესდღეობით ქურთებმა უკვე დაიკავეს ერაყის ცენტრალურ მთავრობასთან სადავო ტერიტორიების ნაწილი (მათ შორის, ქალაქი

[70] BBC, “Battle for Mosul: The Story so far”, BBC Online; ინტერნეტი; http://www.bbc.com/news/world-middle-east-37702442; ბოლო ნახვა: 13 დეკემბერი, 2016.
[71] იქვე.
[72] იქვე.
[73] Moni Basu, “Human shields in Iraq: The new ISIS strategy in fight for Mosul”, CNN Online; ინტერნეტი; http://edition.cnn.com/2016/10/30/middleeast/iraq-mosul-isis-human-shields/; ბოლო ნახვა: 13 დეკემბერი, 2016.
[74] BBC, “Battle for Mosul: The Story so far”, BBC Online; ინტერნეტი; http://www.bbc.com/news/world-middle-east-37702442; ბოლო ნახვა: 13 დეკემბერი, 2016.
[75] Dr. Seth J. Frantzman, “Mosul Op: The Kurdish perspective and the battle for Mosul”, Rudaw Conference, October 2016, გვ. 3.

კირკუკი), თუმცა მოსულის განთავისუფლებაში მათ მიერ შეტანილ წვლილს, შესაძლოა, განსხვავებული დატვირთვა ჰქონდეს: ოსმალთა იმპერიის დაშლის წლებში მოსულიც ერაყის ქურთისტანის სახელმწიფოს პოტენციურ ნაწილად მოიაზრებოდა, ხოლო ჰუსეინის რეჟიმის რეპრესიებამდე ქალაქსა და მის მიდამოებში ჭარბობდა სუნიტი არაბებისა და ეთნიკურად ქურთი მოსახლეობის ხვედრითი წილი. გარდა ამისა, მოსული ტრადიციულად წარმოადგენს ისლამური ექსტრემიზმის ბუდეს და მოქცეულია თურქეთის სახელმწიფო ინტერესების არეალშიც და, შესაძლოა, ქალაქმა შეიძინოს ერთგვარი ბუფერული ზონის ფუნქციაც ერბილსა და ბაღდადს შორის.[76]

მიუხედავად ზემოხსენებული სტრატეგიული და პოლიტიკური დატვირთვისა, ისლამური სახელმწიფოს მიერ მოსულის აღებას ქურთები საბრძოლო განწყობით სულაც არ შეხვედრიან - მოსახლეობის ნაწილი მაშინაც მიიჩნევდა და ახლაც (სამართლიანად) მიიჩნევს, რომ კირკუკისა და პეშმერგას მიერ დაკავებული სხვა ტერიტორიებისგან განსხვავებით, შანსი იმისა, რომ წარმატებული სამხედრო მანევრირების შემთხვევაში კონფლიქტის დასრულების შემდეგ მოსული ერაყის ქურთისტანის შემადგენლობაში დარჩება, მიზერულია.[77] დიდი ალბათობით, ამას არც საერთაშორისო კოალიცია დაუშვებს, რათა თავიდან აირიდოს ახალი კონფლიქტი - ამჯერად ოფიციალურ ბაღდადსა და ერბილს შორის. თანაც, ქურთების დიდ ნაწილს სულაც არ სურს დამოუკიდებლობის სწრაფად მოპოვების ავანტიურაზე წასვლა კიდევ ერთი ომისა თუ სამხედრო აჯანყების ხარჯზე.

შესაბამისად, ქურთების მთავარი მიზანი და მოტივი მართლაც არის მოსულის სწრაფი განთავისუფლება, თუმცა ქალაქის დაბრუნების მნიშვნელობა ერბილისათვის მისი სტრატეგიული მდებარეობითაა განპირობებული - მოსული ერაყელ ქურთთა დედაქალაქიდან სულ რაღაც 80 კილომეტრითაა დაშორებული და სანამ ISIS ამ ქალაქს აკონტროლებს, ტერორიზმის მომდინარე საფრთხეც ყოველთვის იარსებებს. თანაც, ქურთების მიზანია ქალაქის რაც შეიძლება მცირე დაზიანებებით განთავისუფლება, რათა მიმდებარე ტერიტორიებიდან ქურთისტანში გაქცეული დევნილები მშობლიურ მხარეს დაუბრუნდნენ - მოვლენების მსგავსი სცენარით განვითარება კი მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი, თუკი ისლამური სახელმწიფო კოალიციურ ძალებს დიდ წინააღმდეგობას ვერ გაუწევს და მოსული ნანგრევებად ქცევას გადაურჩება.[78]

---

[76] Dr. Seth J. Frantzman, “Mosul Op: The Kurdish perspective and the battle for Mosul”, Rudaw Conference, October 2016, გვ. 3

[77] იქვე, გვ. 5.

[78] იქვე, გვ. 6-8.

დამოუკიდებლობის მოპოვების პერსპექტივა

მოსახლეობისა და შიდაპოლიტიკური სუბიექტების დამოკიდებულება

როგორც უკვე არაერთხელ აღვნიშნეთ, ერაყელი ქურთების ბრძოლა დამოუკიდებლობისთვის თითქმის საუკუნის წინ დაიწყო და მას შემდეგ ეს ფართომასშტაბიანი პროცესი მოიცავდა აჯანყებებების, რევოლუციებისა და სამოქალაქო ომების მთელ სერიას. ექსპერტთა მოსაზრებით, დღეს ერაყის ქურთისტანი დამოუკიდებლობის მოპოვებასთან უფრო ახლოსაა, ვიდრე ოდესმე,[79] თუმცა მაინც არსებობს ზემოხსენებული, მნიშვნელოვანი შემაფერხებელი ფაქტორები, რომლებიც განაპირობებს დამოუკიდებლობის მოპოვებისადმი სკეპტიკურ განწყობას რეგიონის შიგნით.

პრეზიდენტმა მასუდ ბარზანიმ რამდენჯერმე განაცხადა, რომ ერაყის ქურთისტანმა უახლოეს მომავალში უნდა ჩაატაროს რეფერენდუმი და საბოლოოდ მოიპოვოს დამოუკიდებლობა. ბარზანის თქმით, „საიქს-პიკოს ერა დასრულებულია“, რადგან აღნიშნული შეთანხმების შედეგად მიღწეულმა „წესრიგმა“ ვერ გაამართლა და აუცილებელია ახლო აღმოსავლეთის რუკაზე ცვლილებების შეტანა, რაც გულისხმობს ქურთისტანის დამოუკიდებელი სახელმწიფოს წარმოშობასაც.[80]

მიუხედავად იმისა, რომ მსგავსი პათოსი ათწლეულების განმავლობაში წარმოადგენდა ერაყელ ქურთთა ეროვნული იდენტობისა და ნაციონალიზმის მთავარ გამოხატულებას, დღესდღეობით ბარზანის მსგავსი განცხადებები მოსახლეობაში დიდ ენთუზიაზმს სულაც აღარ იწვევს - პრეზიდენტის ინიციატივას მრავალი ქურთი არა ნაციონალისტური სულისკვეთების გამოვლინებად, არამედ მისი კერძო ინტერესების გატარებისა და ძალაუფლების გახანგრძლივების მცდელობად აღიქვამს.[81] ამასთან, ბარზანიმ უკვე არაერთხელ დაიხია უკან და ამა წლის სექტემბერში სულაც განაცხადა, რომ უნდა ჩატარდეს არა რეფერენდუმი, არამედ პლებისციტი, რომელსაც, თავისთავად, კანონიერი ძალა არ ექნება, თუმცა ეს პროცესი დაეხმარება KRG-ს, გაიგოს მოსახლეობის აზრი და დაიწყოს შესაბამისად მოქმედება გრძელვადიან პერსპექტივაში.

2016 წლის 21 აგვისტოს ქურთისტანის რეგიონული მთავრობის სპიკერმა საფინ დიზაიიმ განაცხადა, რომ პეშმერგას მიერ განთავისუფლებული ტერიტორიები ქურთისტანის შემადგენლობაში დარჩებოდა, რასაც ოფიციალური ბაღდადის მხრიდან სერიოზული აღშფოთება მოჰყვა. სიტუაცია მხოლოდ მას შემდეგ

---

[79] The Economist, “Ever closer to independence”, The Economist Online; ინტერნეტი; http://www.economist.com/news/international/21644167-iraqs-kurds-are-independent-all-name-they-must-play-their-cards-cleverly-if-they; ბოლო ნახვა: 13 დეკემბერი, 2016.

[80] Martin Chulov, “Iraqi Kurdistan president: time has come to redraw Middle East boundaries”, The Guardian Online; ინტერნეტი; https://www.theguardian.com/world/2016/jan/22/kurdish-independence-closer-than-ever-says-massoud-barzani; ბოლო ნახვა: 13 დეკემბერი, 2016.

[81] Dara Salam, “Iraq’s Kurdistan government needs a public debate on independence”, Open Democracy Online; ინტერნეტი; https://www.opendemocracy.net/arab-awakening/dara-salam/iraq-s-kurdistan-government-needs-public-debate-on-independence; ბოლო ნახვა: 13 დეკემბერი, 2016.

განიმუხტა, რაც ბარზანიმ გამოაცხადა, რომ ქურთები აუცილებლად დაიცავდნენ ბაღდადთან მიღწეულ შეთანხმებას, რომლის თანახმადაც, ისლამურ სახელმწიფოსთან ბრძოლისას დაკავებულ ტერიტორიებს პეშმერგა ომის დასრულებისთანავე დატოვებს.[82]

მიუხედავად ბარზანის მიერ შერჩეული „ზომიერი" ტონისა, აშკარაა, რომ დამოუკიდებლობის საკითხთან დაკავშირებით ერაყელ ქურთთა პოზიცია არაერთგვაროვანია: მთავრობის წარმომადგენელთა და სამხედრო მოხელეთა ნაწილს საკმაოდ რადიკალური პოზიცია უკავია - მათი აზრით, ერაყის ქურთისტანმა უარი არ უნდა თქვას ამჟამად დაკავებულ ტერიტორიებზე, ხოლო უახლოეს მომავალში დამოუკიდებლობაც უნდა გამოაცხადოს.[83] მეორე მხრივ, გასათვალისწინებელია KDP-ის მეტოქე პოლიტიკური ძალების - „ცვლილებების მოძრაობისა" (Gorran) და PUK-ის პოზიციებიც. ეს უკანასკნელი პარტიები ბარზანის კრიტიკის ქარცეცხლში ახვევენ, მის მმართველობას ამჟამად არალეგიტიმურად მიიჩნევენ, ხოლო დამოუკიდებლობის მოპოვების „ავანტიურას" ლეგიტიმაციის ნაკლებობის პირობებში ყურადღების გადატანის მცდელობად აღიქვამენ. აღსანიშნავია, რომ მძაფრი ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისი ერაყის ქურთისტანში მართლაც განაპირობებს ნეგატიური განწყობების ზრდას მმართველი პარტიის მიმართ და ექსპერტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ერაყელი ქურთებისთვის „დამოუკიდებლობა სულაც აღარ არის უმნიშვნელოვანესი საკითხი".[84]

ყოველივე ზემოხსენებულიდან გამომდინარე, პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარების სტაბილიზაციის გარეშე წარმოუდგენელია რეფერენდუმის, პლებისციტისა თუ დიდი ხნის წინ გასამართი არჩევნების ჩატარება. შესაბამისად, ერაყის ქურთისტანის შიდაპოლიტიკური ვითარება დამოუკიდებლობის მოპოვების პერსპექტივასთან მიმართებაში არცთუ სახარბიელოა.

პოტენციური მეზობელი სახელმწიფოების დამოკიდებულება

მასუდ ბარზანიმ გასული თვეების განმავლობაში არაერთხელ გაუსვა ხაზი იმ გარემოებას, რომ სხვა სახელმწიფოების ოფიციალურ წარმომადგენლებთან შეხვედრისას, რეგიონის მიერ დამოუკიდებლობის

[82] Dr. Seth J. Frantzman, "Mosul Op: The Kurdish perspective and the battle for Mosul", Rudaw Conference, October 2016, გვ. 3.
[83] Christopher Livesay, "Could the fight against ISIS give Kurds more autonomy?", PBS Newshour Online; ინტერნეტი; http://www.pbs.org/newshour/bb/fight-isis-give-kurds-autonomy/; ბოლო ნახვა: 13 დეკემბერი, 2016.
[84] Tania Goudsouzian, "For Iraq's Kurds, it's not about independence anymore", Al Jazeera Online; ინტერნეტი; http://www.aljazeera.com/blogs/middleeast/2016/11/iraq-kurds-independence-anymore-161114110224637.html; ბოლო ნახვა: 13 დეკემბერი, 2016.

მოპოვება მთავარი განსახილველი საკითხია და „არ არსებობს ქვეყანა, რომელიც ერაყის ქურთისტანის დამოუკიდებლობას ეწინააღმდეგება“.[85]

თუკი KRG-ის პრეზიდენტს შეხვედრების დიპლომატიურ დეტალებთან დაკავშირებით ვერ შევედავებით, მისი უკანასკნელი განცხადება საკმაოდ სადავოა: რთული სათქმელია, თუ რას ემყარება ბარზანის მსგავსი ოპტიმიზმი, თუმცა ერაყის ქურთისტანის დამოუკიდებლობის მოპოვების გზაზე არსებობს არა მარტო შიდაპოლიტიკური, არამედ მნიშვნელოვანი საერთაშორისო დაბრკოლებებიც.

უპირველეს ყოვლისა, გასათვალისწინებელია იმ სახელმწიფოთა პოზიციები, რომლებიც დამოუკიდებელი ქურთული სახელმწიფოს პოტენციურ მეზობლებად მიიჩნევიან. პირველ რიგში, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ერაყის დამოკიდებულებას, რომელიც ამჟამად ზემოხსენებული პერსპექტივების სრულ უარყოფასა და ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის ნებისმიერ ფასად შენარჩუნებაში გამოიხატება. ამჟამინდელი თვალთახედვით, თითქმის წარმოუდგენელია უახლოეს მომავალში ოფიციალურმა ბაღდადმა პოზიცია (საკუთარი ნებით) შეცვალოს, ხოლო ხსენებული რადიკალური დამოკიდებულება, რასაკვირველია, როგორც მინიმუმ, შეაფერხებს ქურთებისთვის სასურველი პროცესების მიმდინარეობას, რადგან KRG-ის ოფიციალური პოზიციით, ერაყის ქურთისტანი დამოუკიდებლობის მოპოვებას მხოლოდ მშვიდობიანი მოლაპარაკებების გზით აპირებს.

გარდა ერაყისა, მნიშვნელოვანი დატვირთვა აქვს ირანის, სირიისა და თურქეთის დამოკიდებულებასაც. ირანელებს წლების განმავლობაში უწევდათ ქურთ მეამბოხეებთან ბრძოლა და მეორე მსოფლიო ომის შემდეგ შექმნილი დროებითი რესპუბლიკის პრეცედენტიც კარგად ახსოვთ. ბუნებრივია, „დიდი ქურთისტანის“ შემადგენლობაში შემავალი ერთი რომელიმე ჯგუფის მიერ ნანატრი დამოუკიდებლობის მოპოვება, წესით, გამოიწვევს სხვა მსგავსი ჯგუფების გააქტიურებასა და მსგავსი მოთხოვნების წამოეყენებას, რაც ირანელთა ინტერესებში, ცხადია, არ შედის.

რაც შეეხებათ სირიელებს, მათთვის ხსენებული პრობლემა კიდევ უფრო აქტუალურია, რადგან სირიის ტერიტორიაზე მიმდინარე წლის მარტში გამოცხადდა „ჩრდილოეთ სირიის ფედერაციის“ (Rojava) შექმნა.[86] მართალია, Rojava მულტიკულტურულ ერთობას წარმოადგენს, თუმცა ფედერაციის ფუნქციონირებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ სირიელ ქურთებს, რომელთათვისაც მსგავსი მოდელის სახელმწიფო მომავალში დამოუკიდებლად განვითარების წინაპირობაა. Rojava-ს მოდელის

[85] Baxtiyar Goran, “Kurdistan President Barzani: No country is against Kurdistan independence”, Kurdistan 24 Online; ინტერნეტი; http://www.kurdistan24.net/en/news/ea01467a-cb21-4b3f-9ce0-a4553227aacb/President-Barzani--No-country-is-against-Kurdistan-independence; ბოლო ნახვა: 13 დეკემბერი, 2016.

[86] Andrea Glioti, “Rojava: A libertarian myth under scrunity”, Al Jazeera Online; ინტერნეტი; http://www.aljazeera.com/indepth/opinion/2016/08/rojava-libertarian-myth-scrutiny-160804083743648.html; ბოლო ნახვა: 13 დეკემბერი, 2016.

მიმართ პოზიტიურ განწყობებს არ მალავენ თურქი ქურთებიც, რომლებიც თავად პრაქტიკულად ფართომასშტაბიან კონფლიქტს აწარმოებენ ეროვნული ხელისუფლების მიმართ.

რასაკვირველია, უმნიშვნელოვანესია თურქეთის პოზიციაც. აღსანიშნავია, რომ მას შემდეგ, რაც წლების განმავლობაში ოფიციალური ანკარა აქტიურად ებრძოდა გარკვეულწილად ერაყის ქურთისტანის ტერიტორიაზე მოქმედ ტერორისტულ დაჯგუფებას (PKK), რითაც ფაქტობრივად არღვევდა როგორც ერაყის, ასევე ქურთისტანის რეგიონის ტერიტორიულ მთლიანობას, უკანასკნელ წლებში ერბილსა და ანკარას შორის შეინიშნებოდა ურთიერთობების მკვეთრი დათბობა.[87] ეს უკანასკნელი პროცესი უმეტესწილად განპირობებული იყო ქურთისტანთან არსებული სავაჭრო კავშირებით - წლების განმავლობაში თურქეთი ენერგორესურსების მნიშვნელოვან ნაწილს კვლავ ერაყისგან იღებდა და ქურთისტანის რეგიონის ეკონომიკური თუ პოლიტიკური აღმავლობაც ხელს უწყობდა სავაჭრო კავშირების განმტკიცებას. მიუხედავად ამისა, ასევე რთული წარმოსადგენია, ოფიციალურმა ანკარამ ღიად დაუჭიროს მხარი ერაყის ქურთისტანის დამოუკიდებლობას - მიმდინარე წლის თებერვალში მმართველი „სამართლიანობისა და განვითარების პარტიის“ (AKP) სპიკერმა, ომერ ჩელიკმა განაცხადა კიდეც, რომ ერაყის ქურთისტანის სახელმწიფოს შექმნა ახლო აღმოსავლეთში არსებულ ვითარებას მხოლოდ დაამძიმებდა.[88]

საბოლოო ჯამში, ერაყის ქურთისტანი მაინც რჩება თურქეთის მნიშვნელოვან სავაჭრო პარტნიორად, თუმცა რთული სათქმელია, რამდენად მოისურვებს და მოახერხებს შიდაპოლიტიკურად არასტაბილურ მდგომარეობაში მყოფი სახელმწიფო ერაყის ქურთული დამოუკიდებლობის პერსპექტივის მხარდაჭერას. ამ დროს კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, რეგიონული აქტორების და დიდწილად თურქეთის პოზიციას საკვანძო მნიშვნელობა აქვს ხსენებული საკითხის ქურთთა სასარგებლოდ გადაწყვეტის საქმეში.

საერთაშორისო საზოგადოების დამოკიდებულება

პოტენციური მეზობელი ქვეყნების გარდა, ერაყის ქურთისტანს, რასაკვირველია, ესაჭიროება საერთაშორისო საზოგადოების წამყვანი ძალების მხარდაჭერაც. ამჟამად ერბილში დაფუძნებულია 20-ზე მეტი ქვეყნისა და ორგანიზაციის (მათ შორის, აშშ-ის, რუსეთის, საფრანგეთის, გერმანიის, ჩინეთის, იაპონიის, დიდი ბრიტანეთისა და ევროკავშირის) დიპლომატიური სტრუქტურები.[89] აქედან

[87] David Romano, “Iraqi Kurdistan and Turkey: Temporary Marriage?” , Middle East Policy, Vol. XXII, No.1, Spring 2015. გვ. 82-90.

[88] Hurriyet Daily News, “Independence of Iraqi Kurdistan would further complicate Sykes-Picot instability: Turkey’s AKP”, Hurriyet Daily News Online; ინტერნეტი; http://www.hurriyetdailynews.com/independence-of-iraqi-kurdistan-would-further-complicate-sykes-picot-instability-turkeys-akp.aspx?pageID=238&nID=94775&NewsCatID=338; ბოლო ნახვა: 13 დეკემბერი, 2016.

[89] KRG Department of Foreign Relations, Current International Offices in the Kurdistan Region, Department ofForeign Relations Online; ინტერნეტი; http://dfr.gov.krd/p/p.aspx?p=37&l=12&s=020100&r=363; ბოლო ნახვა: 13 დეკემბერი, 2016.

გამომდინარე, რეგიონულ მთავრობას საკმაოდ აქტიური კავშირები აქვს დამყარებული საერთაშორისო ასპარეზზე.

ზემოხსენებულ ძალებს შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აშშ-ისა და ისრაელის დამოკიდებულება. აშშ-მა უკანასკნელ წლებში ერაყის ქურთისტანთან ურთიერთობის ოფიციალური ფორმა შეცვლა და რეგიონი „არასახელმწიფო სტრატეგიულ მოკავშირედ" აღიარა.[90] ერაყის ქურთისტანს აშშ-ში წარმომადგენლობა 2007 წლიდან ჰყავს, ხოლო თავად ამერიკელთა საკონსულო ერბილში 2012 წლიდან ფუნქციონირებს. იმავე წელს მასუდ ბარზანი შეხვდა პრეზიდენტ ბარაკ ობამასა და ვიცე-პრეზიდენტ ჯო ბაიდენს.[91]

ცხადია, ისლამურ სახელმწიფოსთან ბრძოლაში პეშმერგას მიერ შეტანილ წვლილს შტატებში დადებითად აფასებენ, თუმცა რეგიონის დამოუკიდებლობის ღიად მხარდაჭერის პრეცედენტი აშშ-ის ოფიციალური სტრუქტურების მხრიდან ჯერ არ დაფიქსირებულა. იმისათვის, რომ დასავლეთმა ერაყის ქურთისტანის დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნას მხარი დაუჭიროს, სასურველია, ერთი მხრივ, რეგიონულ მმართველობაში ანტიდემოკრატიული ელემენტების მოსპობა (რაზეც, ISIS-თან კონფლიქტის დასრულების შემდეგ, საერთაშორისო საზოგადოება უთუოდ გაამახვილებს ყურადღებას), ხოლო, მეორე მხრივ, თანამშრომლობის გაღრმავება დასავლურ სახელმწიფო და არასახელმწიფო სტრუქტურებთან. შესაბამისად, მოსულში არსებული კოოპერაცია ხელს ნამდვილად უწყობს ერაყელ ქურთთათვის საერთაშორისო ნდობის მოპოვებას, თუმცა ეს მხოლოდ მცირე წინგადადგმული ნაბიჯია დემოკრატიზაციისა და ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავების გრძელ გზაზე.

გარდა აშშ-სა, საინტერესო და საკვანძოა კიდევ ერთი პრო-დასავლური სახელმწიფოს, ისრაელის პოზიციაც. ამერიკელებისგან განსხვავებით, ისრაელის ოფიციალური სტრუქტურების წარმომადგენლებმა არაერთხელ დაუჭირეს ღიად მხარი ერაყის ქურთისტანის დამოუკიდებლობის მოპოვებას. განსაკუთრებით აღსანიშნავია პრემიერ-მინისტრ ბენიამინ ნეთანიაჰუს 2014 წელს გაკეთებული განცხადება, რომლის თანახმადაც, საერთაშორისო საზოგადოებამ მხარი უნდა დაუჭიროს ქურთების დამოუკიდებლობას, რადგან ქურთები „მებრძოლი ხალხია, რომელმაც მოახერხა პოლიტიკური თვითდეტერმინაცია და [სტრუქტურების] მოდერნიზაცია, შესაბამისად [ეს ხალხი] იმსახურებს პოლიტიკურ დამოუკიდებლობასაც".[92] მოგვიანებით, პრეზიდენტმა შიმონ პერესმაც

[90] KRG Representation in the US, KRG-US Relations, KRG.US Online; ინტერნეტი; http://new.krg.us/relations/; ბოლო ნახვა: 13 დეკემბერი, 2016.
[91] იქვე.
[92] The Guardian, "Israel's prime minister backs Kurdish independence", The Guardian Online; ინტერნეტი; https://www.theguardian.com/world/2014/jun/29/israel-prime-minister-kurdish-independence; ბოლო ნახვა: 13 დეკემბერი, 2016.

განაცხადა, რომ „ქურთებმა უკვე შექმნეს დე-ფაქტო სახელმწიფო“ და ხაზი გაუსვა ამ სახელმწიფოს დემოკრატიულობასაც.[93]

ყოველივე ზემოხსენებულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ერაყის ქურთისტანს მართლაც აქვს გარკვეული საერთაშორისო მხარდაჭერა. ისრაელის ღიად გამოხატული პოზიცია, ისევე როგორც აშშ-თან თანამშრომლობის რეჟიმში ყოფნა, ცხადია, ხელს უწყობს ამ მხარდაჭერის ზრდას, თუმცა, ისევ და ისევ, ტერორიზმის მუდმივად არსებული საფრთხისა და რეგიონული დესტაბილიზაციის პირობებში, ამ ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავების პერსპექტივა ნაკლებად არსებობს.

დასკვნა

საბოლოო ჯამში, ერაყის დამოუკიდებლობის პერსპექტივების ამჟამინდელი გადმოსახედიდან განხილვისას ვხედავთ მთელ რიგს როგორც ხელშემწყობი, ასევე ხელისშემშლელი ფაქტორებისა. პეშმერგას სამხედრო წარმატებები - ისლამური სახელმწიფოსგან რეგიონის დაცვა და სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ობიექტების დაკავება, თურქეთთან უკანასკნელ წლებში გაღრმავებული ეკონომიკური თანამშრომლობა და საერთაშორისო საზოგადოების ნაწილობრივი მხარდაჭერა გრძელვადიან პერსპექტივაში უთუოდ უწყობს ხელს KRG-ისათვის სასურველი გარემოებების შექმნას, თუმცა ხელისშემშლელ ფაქტორთა ნუსხა კიდევ უფრო გრძელია: შიდაეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისი - მოსახლეობის აპათია და უნდობლობა, მმართველობის მოშლილი სტრუქტურები, მოქმედი ხელისუფლების ლეგიტიმაციის პრობლემები; სამხედრო საფრთხე - ისლამური სახელმწიფოს არსებობა ერაყის ტერიტორიაზე, რომლის განდევნის შემდეგაც კი, შესაძლოა, ქურთისტანი ჯიჰადისტების სამიზნედ იქცეს; არასტაბილური ვითარება რეგიონში - სამოქალაქო ომი სირიაში, არეულობა თურქეთში და „მუდმივი დესტაბილიზაციის ეპოქა“ ერაყში; რეგიონულ დონეზე მხარდაჭერის ნაკლებობა - ბაღდადის ურყევი პოზიცია, თურქეთის მერყევი პოზიცია და ა.შ.

მიუხედავად ამისა, ნეგატიურ და პოზიტიურ გარემოებებს შორის ერთგვარ „ხიდად“, შესაძლოა, სწორედ მოსულის ოპერაცია წარმოვიდგინოთ - ყოველი ხელისშემშლელი ფაქტორის სათავე და ხელშემწყობი გარემოებების შემდგომი განვითარების შემაფერხებელი უმთავრესი მიზეზი სწორედ უსაფრთხოების დილემაა, რომლის წინაშეც ერბილი 2014 წლიდან დგას. ისლამური სახელმწიფოს განდევნა ხელს შეუწყობს რეგიონში ომამდელი, სტაბილური ეკონომიკური ვითარების აღდგენას, შეიქმნება შესაბამისი პირობები არჩევნების ჩასატარებლად და ბარზანის მთავრობა (თუკი მივიჩნევთ, რომ მას ახლა ნამდვილად ამოძრავებს მსგავსი განზრახვები) ვეღარაფრით მოახერხებს არაკანონიერი მმართველობის

[93] Batsheva Sobelman, “Netanyahu expresses support for Kurdish independence”, Los Angeles Times Online; ინტერნეტი; http://www.latimes.com/world/middleeast/la-fg-netanyahu-israel-iraq-kurdistan-20140629-story.html; ბოლო ნახვა: 13 დეკემბერი, 2016.

ლეგიტიმაციას. შესაბამისად, თურქეთთან აღდგენილი სავაჭრო ურთიერთობები უზრუნველყოფს ახლო აღმოსავლეთში მინიმუმ ერთი ძლიერი სახელმწიფოს კეთილგანწყობას ერაყის ქურთისტანის მიმართ, ხოლო ახალი არჩევნები (რომელშიც, წესით, ბარზანიმ მონაწილეობა აღარ უნდა მიიღოს) დასავლეთის მიერ აღქმული იქნება, როგორც დემოკრატიზაციისკენ გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯი.

მეორე მხრივ, გამორიცხული სულაც არ არის, მოსულის ოპერაციის წარმატებულად დასრულებამ (ISIS-ის განდევნამ) ნეგატიური გავლენაც მოახდინოს სამხრეთ ქურთისტანში არსებულ ვითარებაზე. თუკი ბარზანის ხელისუფლება უარყოფს ოფიციალურ ბაღდადთან გაფორმებული ხელშეკრულების პირობებს და პეშმერგაც ამჟამად მის მიერ კონტროლირებადი ტერიტორიების სრულად შენარჩუნებას შეეცდება, დიდი ალბათობით, ბაღდადსა და ერბილს შორის კონფრონტაცია მორიგ კონფლიქტში გადაიზრდება და მიუხედავად იმისა, თუ როგორ დასრულდება ახალი ომი, ქურთი მოსახლეობისთვის მოვლენების მსგავსი სცენარით განვითარება უაღრესად არასასურველია.

ყოველივე ზემოხსენებულიდან გამომდინარე, მოსულის ოპერაციის ზუსტი ზეგავლენის პროგნოზირება ერაყის ქურთისტანის დამოუკიდებლობის პერსპექტივაზე, დღევანდელი გადმოსახედიდან, პრაქტიკულად, წარმოუდგენელია, თუმცა ეს არც ყოფილა ამ ნაშრომის მიზანი: თუკი მხოლოდ ჰიპოთეტურ მსჯელობას თავიდან ავირიდებთ, იმ დასკვნამდე მივალთ, რომ მიუხედავად „მოსულის შემდგომი“ მოვლენების განვითარების არა ერთი სცენარის არსებობისა, ხსენებული ოპერაციის დასრულებამდე ერაყის ქურთისტანს, ფაქტობრივად, არც ექნება საშუალება, დაიწყოს მზადება დამოუკიდებელი სახელმწიფოს შენებისათვის. შესაბამისად, მოსულის ოპერაციას ვერ მივიჩნევთ ცალსახად დადებითი გავლენის მქონე მოვლენად, თუმცა აშკარაა, რომ ეს არის ერთი, თუმცა საკვანძო ნაბიჯი ერაყის ქურთისტანის მომავლის განსაზღვრის გზაზე. როგორც უნდა დასრულდეს ბრძოლა მოსულისთვის, ჩრდილოეთ ერაყის რუკა უთუოდ შეიცვლება და სწორედ ამ ცვლილებების სახე შეიძლება გახდეს ერაყელი ქურთების მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების ერთ-ერთი მთავარი წინაპირობა. მანამდე კი, ამ საკითხთან დაკავშირებით არსებული საჯარო ინფორმაციის ანალიზი უმეტესწილად, სწორედ ზემოხსენებული დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა.

ხელმძღვანელი: კონსტანტინე შუბითიძე, მოწვეული ლექტორი, საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი

ლიტერატურის მიმოხილვა

1) Abdulrahim, Raja. "Are Iraq's renowed peshmerga fighters any match for Islamic State?", Los Angeles Times Online; ინტერნეტი; http://www.latimes.com/world/middleeast/la-fg-iraq-peshmerga-training-20141009-story.html; ბოლო ნახვა: 13 დეკემბერი, 2016.
2) Al-Marashi, Ibrahim. "The Kurdish Referendum and Barzani's political survival," Al Jazeera Online; http://www.aljazeera.com/indepth/opinion/2016/02/kurdish-referendum-barzani-political-survival-iraq-160204111835869.html; ინტერნეტი; ბოლო ნახვა: 13 დეკემბერი, 2016.
3) Al-Salhy, Suadad and Arango, Tim. "Sunni Militants Drive Iraqi Army Out of Mosul", New York Times Online; ინტერნეტი; https://www.nytimes.com/2014/06/11/world/middleeast/militants-in-mosul.html?_r=0; ბოლო ნახვა: 13 დეკემბერი, 2016.
4) Basu, Moni. "Human shields in Iraq: The new ISIS strategy in fight for Mosul", CNN Online; ინტერნეტი; http://edition.cnn.com/2016/10/30/middleeast/iraq-mosul-isis-human-shields/; ბოლო ნახვა: 13 დეკემბერი, 2016.
5) BBC, "Battle for Mosul: The Story so far", BBC Online; ინტერნეტი; http://www.bbc.com/news/world-middle-east-37702442; ბოლო ნახვა: 13 დეკემბერი, 2016.
6) Bradley, Matt. "ISIS Declares New Islamist Caliphate", Wall Street Journal Online; ინტერნეტი; http://www.wsj.com/articles/isis-declares-new-islamist-caliphate-1404065263; ბოლო ნახვა: 13 დეკემბერი, 2016.
7) Chulov, Martin. "Iraqi Kurdistan president: time has come to redraw Middle East boundaries", The Guardian Online; ინტერნეტი; https://www.theguardian.com/world/2016/jan/22/kurdish-independence-closer-than-ever-says-massoud-barzani; ბოლო ნახვა: 13 დეკემბერი, 2016.
8) Frantzmann, Seth J. "Mosul Op: The Kurdish perspective and the battle for Mosul", Rudaw Conference, October 2016.
9) Glioti, Andrea. "Rojava: A libertarian myth under scrunity", Al Jazeera Online; ინტერნეტი; http://www.aljazeera.com/indepth/opinion/2016/08/rojava-libertarian-myth-scrutiny-160804083743648.html; ბოლო ნახვა: 13 დეკემბერი, 2016.
10) Goran, Baxtiyar. "Barzani releases statement on independence referendum," Kurdistan 24 Online; http://www.kurdistan24.net/en/news/5638c9bb-d4e2-4fce-80ad-62441576fa33/Barzani-releases-statement-on-independence-referendum; ინტერნეტი; ბოლო ნახვა: 13 დეკემბერი, 2016.
11) Goran, Baxtiyar. "Kurdistan President Barzani: No country is against Kurdistan independence", Kurdistan 24 Online; ინტერნეტი; http://www.kurdistan24.net/en/news/ea01467a-cb21-4b3f-9ce0-a4553227aacb/President-Barzani--No-country-is-against-Kurdistan-independence; ბოლო ნახვა: 13 დეკემბერი, 2016.

12) Goudsouzian, Tania. "For Iraq's Kurds, it's not about independence anymore", Al Jazeera Online; ინტერნეტი; http://www.aljazeera.com/blogs/middleeast/2016/11/iraq-kurds-independence-anymore-161114110224637.html; ბოლო ნახვა: 13 დეკემბერი, 2016.

13) Hurriyet Daily News, "Independence of Iraqi Kurdistan would further complicate Sykes-Picot instability: Turkey's AKP", Hurriyet Daily News Online; ინტერნეტი; http://www.hurriyetdailynews.com/independence-of-iraqi-kurdistan-would-further-complicate-sykes-picot-instability-turkeys-akp.aspx?pageID=238&nID=94775&NewsCatID=338; ბოლო ნახვა: 13 დეკემბერი, 2016.

14) Ibrahim, Saied Qadir Fade. "Iraqi Kurds And State-Building," Washington Review Of Turkish & Eurasian Affairs, 2015 წლის მარტი.

15) Kelly, Michael J. "Ghosts of Halabja". Westport, Connecticut: Praeger Security International, 2008.

16) KRG Department of Foreign Relations, Current International Offices in the Kurdistan Region, Department ofForeign Relations Online; ინტერნეტი; http://dfr.gov.krd/p/p.aspx?p=37&l=12&s=020100&r=363; ბოლო ნახვა: 13 დეკემბერი, 2016.

17) KRG Representation in the US, KRG-US Relations, KRG.US Online; ინტერნეტი; http://new.krg.us/relations/; ბოლო ნახვა: 13 დეკემბერი, 2016.

18) Livesay, Christopher. "Could the fight against ISIS give Kurds more autonomy?", PBS Newshour Online; ინტერნეტი; http://www.pbs.org/newshour/bb/fight-isis-give-kurds-autonomy/; ბოლო ნახვა: 13 დეკემბერი, 2016.

19) Mamakani, Ehsen. "Five Reasons for Kurdistan Region financial crisis", Kurdistan24 Online; ინტერნეტი; http://www.kurdistan24.net/en/news/0e44d797-1d90-4d2d-afec-2832a4a7785c/five-reasons-for-kurdistan-region-financial-crisis; ბოლო ნახვა: 13 დეკემბერი, 2016.

20) McDowell, David. "A Modern History of The Kurds". London: I.B. Taurus, 2007.

21) Mullen, Jethro and Capelouto, Susanna. "U.S. airstrikes critical in Mosul Dam capture", CNN Online; ინტერნეტი; http://edition.cnn.com/2014/08/18/world/meast/iraq-mosul-dam/; ბოლო ნახვა: 13 დეკემბერი, 2016.

22) Roberts, John. „Iraqi Kurdistan Oil and Gas Outlook", Atlantic Council – Global Energy Center and Dinu Patriciu Eurasia Center, 2016 წლის სექტემბერი.

23) Romano, David. "Iraqi Kurdistan and Turkey: Temporary Marriage?" , Middle East Policy, Vol. XXII, No.1, Spring 2015.

24) Salam, Dara. "Iraq's Kurdistan government needs a public debate on independence", Open Democracy Online; ინტერნეტი; https://www.opendemocracy.net/arab-awakening/dara-salam/iraq-s-kurdistan-government-needs-public-debate-on-independence; ბოლო ნახვა: 13 დეკემბერი, 2016.

25) Sobelman, Batsheva, "Netanyahu expresses support for Kurdish independence", Los Angeles Times Online; ინტერნეტი; http://www.latimes.com/world/middleeast/la-fg-netanyahu-israel-iraq-kurdistan-20140629-story.html; ბოლო ნახვა: 13 დეკემბერი, 2016.

26) Stansfield, Gareth. "Iraqi Kurdistan: Political development and emergent democracy". London: RoutledgeCurzon, 2003.

27) The Economist, "Ever closer to independence", The Economist Online; ინტერნეტი; http://www.economist.com/news/international/21644167-iraqs-kurds-are-independent-all-name-they-must-play-their-cards-cleverly-if-they; ბოლო ნახვა: 13 დეკემბერი, 2016.

28) The Guardian, "Israel's prime minister backs Kurdish independence", The Guardian Online; ინტერნეტი; https://www.theguardian.com/world/2014/jun/29/israel-prime-minister-kurdish-independence; ბოლო ნახვა: 13 დეკემბერი, 2016.

29) The Republic of Iraq, Iraqi Constitution, (Baghdad, 2015, Article 117), Iraqi Nationality Government Online; ინტერნეტი; http://www.iraqinationality.gov.iq/attach/iraqi_constitution.pdf; ბოლო ნახვა: 13 დეკემბერი, 2016.

30) Torelli, Stefano M. "Kurdistan – An Invisible Nation". Milan: The Italian Institute for International Political Studies, 2016.

31) Trofimov, Yaroslav. "After Mosul, Iraq's Kurds Face Internal Crisis", Wall Street Journal Online, ინტერნეტი, http://www.wsj.com/articles/after-mosul-iraqs-kurds-face-internal-crisis-1479983400; ბოლო ნახვა: 13 დეკემბერი, 2016.

32) Yildiz, Kerim. „The Kurds In Iraq: The Past, Present and Future". London: Pluto Press, 2007.